ალია

N93 (3023) 19 ივნისი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

გამოდის 1995 წლიდან

WWW.ALIA.GE

ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე:

## „ერთი ფაქტი გამახსენდა ბატონ მოსამართლე ურთმელიძეზე“



ვალერი გელბახიანი:

## „კარგად დაიმახსოვრეთ, კარგად ორგანიზებული რევოლუცია მოდის ხელისუფლების წიაღიდან“



## რით ხსნის პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე მოსახლეობის 70%-ის არჩევნებზე მიუსვლელობას და „ნაცმოძრაობის“ 27%-ს?



# თბილისის ახალი საკრებულო პირველ „დარტყმებს“ „სითი პარკზე“ და „თბილისის წყალზე“ ამზადებს

## ვის შეხვდა და რას დაპირდნენ მოროშკინას სტრასბურგში



## განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი გამოცდების ეროვნულ ცენტრს ბრალს სდებს!

გამოცდების ეროვნული ცენტრი: „არ ვიცით, ეს ქალბატონი უბრალოდ ცდება, თუ მიზანმიმართულად აკეთებს ამას ცენტრის თანამშრომლების კომპრომეტირების მიზნით“



## მადლობა სამართლიანობისთვის ბრძოლაში ერთგულებისთვის!

შემოწირულობა ანგარიშზე შეიტანეს:

1. შპს სტამბა „ტორის“ ხელმძღვანელმა ნუკრი დოლიძემ – 1000 ლარი; 2. ჰომეოპათმა კახა საბახტარიშვილმა – 100 ლარი, 3. ტარიელ თაბაგარი – 3 ლარი, 4. ადვოკატი გურამ გვენცაძე – 100 ლარი, 5. დავით მამუკაშვილი – 1 ლარი, 6. მერაბ ომიაძე – 1 ლარი, 7. „ახალგაზრდა ადვოკატები“ – 100 ლარი, 8. „ტოიოტა-ცენტრის“ ხელმძღვანელი ირაკლი გურჩიანი – 1500 ლარი, 9. ირაკლი ქავთარაძე – 49 ლარი; 10. ოთარ ჯანდიერი – 10 ლარი; 11. ნათელა მაღლაკელიძე – 50 ლარი; 12. ს/ს „გურმანი“ – 50 ლარი; 13. ენრიკო იაკობაშვილი – 1000; 14. ზესკი ადამია – 5; 15. ანა იმნაიშვილი – 5; 16. ჯიბუტი – 10; 17. დიმიტრი-ელენე-ენვერ ენდელაძე – 3; 18. რიმა გოჩიაშვილი – 50, 19. გელა სულაბერიძე – 2, 20. სერგო მწითურიძე – 100. 21. თამარ მდივნიშვილი – 5. 22. იოსებ ვაშაკიძე – 5, 23. ირინე ტატუნიშვილი – 5, 24. ნუკრი რევიშვილი – 10, 25. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – 500, 26. მანანა ვახტანგაძე, რევაზ ფახურიძე – 1, 27. ამხანაგობა სადვოკატო ბიურო მიგრიაული და პარტნიორები – 70, 28. ვასილ მეტრეველი – 10, 29. ლაერტი ზუბადალაშვილი – 100, 30. ჯუმბერ ტაგანაშვილი – 10, 31. შპს „ნილი“ – 50; 32. მამუკა კაკუშაძე 20; 33. ჩანჩალაშვილი აბრამი – 300, 34. მედიაჰოლდინგი „ჯორჯიან ტაიმსი“ – 100, 35. ნოდარ ბუღაძე – 50, 36. ჯემალ ალანია – 3, 37. დაველოსტი გობეჯიშვილი – 30; 38. ზუბერ ავალიანი – 10; 39. გიზო ფაცია – 1000; 40. ზურაბ გუნია – 100; 41. 42. თამრიკო ფაცია – 100; 43. თეა იაკობიძე – 100; 44. მერაბ სარია – 300; 45. მარინე კანდელაკი – 5; 46. შორენა გოშუა – 5; 47. ხელვაჩაური პურპროდუქტები – 150; 48. ცისანა ქირია – 10; 49. ტარიელ ოთიაშვილი – 10; 50. ელისო შიხიაშვილი – 50; 51. ლევან ბანეთიშვილი – 300; 52. ელეონორა ბექაური –10; 53. დავით ჭაქვაძე – 190; 54. ციალა თოფურია – 100; 55. მარიკა ჯაჯანაშვილი – 2, 56. დიმიტრი ტიკარაძე – 250, 57. შპს „პირველი“ – 250.

სპეციალური ანგარიში „თიბისი ბანკში“ GE30TB7568636020100001

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ნათელაშვილი ბიულეტენების ხელახლა გადათვლას ითხოვს



„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერის განცხადებით, თვითმმართველობის არჩევნები მასობრივად გაყალბდა.

,,ივანიშვილის რეჟიმმა „ლეიბორისტულ პარტიას“ მასობრივად გაუყალბა ადგილობრივი არჩევნები. ჩვენ გაჩერებას არ ვაპირებთ. ჩვენ მიერ გასაჩივრებულია ყველა საარჩევნო ოლქი. ვითხოვთ ბულეტენების ხელახალ გადათვლას, გაბათილებული ბიულეტენების გადამოწმებას და არჩევნებზე გამოცხადებული პირებისგან განმარტების ჩამორთმევას, მართლა მოვიდნენ თუ არა არჩევნებზე. ცხვირიდან ძმარს ვადენთ. ძალიან სერიოზული პრობლემები ელოდება რეჟიმს წინ“. – განაცხადა ნათელაშვილმა.

მისი თქმით, წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში გადამოწმდა საარჩევნო უბანი, სადაც 60 გაუქმებული ბიულეტენიდან უმრავლესობაში „ლეიბორისტული პარტიაა“ შემოხაზული და გაყალბებისთვის კიდევ სხვა ძალა მოხაზული; ასევე, ბათუმის 103-ე საარჩევნო უბანში „ლეიბორისტების“ ბიულეტენები მიწერილია „პატრიოტთა ალიანსზე“.

„ჩვენ საქმე გვაქვს იმ პოლიტიკურ ინსტიტუტებთან, რომელმაც მოქალაქეობა მიანიჭა პუტინის მიერ საქართველოში გამოგზავნილ კრიმინალს. უნდა გავარკვიოთ, რა ხდება, ვინ ვისი მეგობარია. თუ პუტინის მეგობარი მილიარდერი და მისი მარჯვენა ხელი ევროპის წამყვანი ქვეყნის – საფრანგეთისთვის იმ დონეზეა მისაღები, რომ არჩევნების მასობრივი გაყალბება აპატიონ, მაშინ რას იტყვის საფრანგეთში მყოფი უამრავი ქართველი იმაზე, რომ თავშესაფარს არ აძლევენ? გავარკვიოთ, ვისი მეგობარია საფრანგეთი, ქართველი ხალხის, თუ ივანიშვილის კრიმინალური რეჟიმის“, – აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა. (პირველი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ,,ვინ იქნება ადმინისტრაციის უფროსი, ეს პრეზიდენტის გადასაწყვეტია“



უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი გიორგი მარგველაშვილის საპარლამენტო მდივნის, დავით პატარაიას პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად დანიშვნის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა.

„ვიცი, რომ ბრძანება დაწერილი არ არის, დანარჩენი ჩემთვის ცნობილი არ არის, იმიტომ, რომ ჩემი სულ სხვა სტრუქტურაა. შესაბამისად, პრეზიდენტი მიიღებს უახლოეს ხანებში გადაწყვეტილებას... დავით პატარაია პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანია, რომელიც უაღრესად კვალიფიციური იურისტია. ეს ექსკლუზიურად პრეზიდენტის გადასაწყვეტია“, – აღნიშნა იმერლიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ლაშა აბაშიძემ და მრჩეველმა საგარეო ურთიერთობების საკითხებში ივანე მაჭავარიანმა თანამდებობა გასულ კვირას დატოვეს. (პირველი)

## ,,რუსთავში არჩევნები ტოტალურად გაყალბდა“



რუსთავის მერობის კანდიდატის ეროსი კიწმარიშვილის განცხადებით, ქალაქში გაყალბების არაერთი მექანიზმი იყო გამოყენებული. კიწმარიშვილი აღნიშნავს, რომ 9 ივნისს, იუსტიციის სამინისტროს მოსთხოვეს საჯარო ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რამდენი საარჩევნო უფლების მქონე პირი ჩაეწერა რუსთავში 2014 წლის 1-ლი იანვრიდან 1-ელ ივნისამდე. ინფორმაცია მხოლოდ არჩევნების მეორე დღეს, 16 ივნისს მიიღეს, რომლის თანახმად, 1-ლი ივნისისთვის რუსთავში რეგისტრირებული იყო 100 773 მოქალაქე, ხოლო 8 ივნისისთვის მათი რაოდენობა 4 ათასით იყო გაზრდილი.

„მარტივად რომ ვთქვათ, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, რუსთავში, არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, ამომრჩეველთა რაოდენობა გაიზარდა 4%-ით. ეს არის დადასტურებული ინფორმაცია. ასევე, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, 20 მაისიდან არჩევნებამდე რუსთავში მოსახლეობის რაოდენობა 10 ათასით გაიზარდა, ანუ არჩევნებში ჩემი ჩართვიდან ერთ კვირაში საქართველოში დაიწყო მოსახლეობის მასობრივი გადასახლება რუსთავში ჩასაწერად“, – განაცხადა კიწმარიშვილმა.

მისი თქმით, ეს დოკუმენტი იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ რუსთავში მოხდა სისხლის სამართლის დანაშაული და ამაში სახელმწიფო ინსტიტუტები მონაწილეობდნენ. მისივე თქმით, ქალაქში 5 500 ბიულეტენი ბათილადაა ჩათვლილი. ეროსი კიწმარიშვილი საოლქო საარჩევნო კომისიის ინფორმაციის გამოქვეყნებას ელოდება, რის შემდეგად რუსთავში არჩევნების ჩაშლილად გამოცხადებისთვის სამართლებრივ ბრძოლას იწყებს. (პირველი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქართველმა მძლეოსნებმა 4 ოქრო, ერთი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს



1999-2000 წელს დაბადებულ მოზარდებს შორის მოსკოვში მიმდინარე მძლეოსნობის ღია პირველობის პირველ დღეს ქართველმა სპორტსმენებმა 4 ოქრო, ერთი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს.

მძლეოსნობის ფედერაციის ცნობით, შეჯიბრში 15 ქვეყნის ახალგაზრდა სპორტსმენები მონაწილეობენ. ოქროს მედლები მოიპოვეს: თარმჯმრბენში დავით ლუკავამ, 1500 მეტრზე სირბილში დავით აბესაძემ, ბირთვის კვრასა და შუბის ტყორცნაში გიორგი კეთილაძე 2 ოქროს მედლის მფლობელი გახდა. ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა მარიამ ჩაკაბერია, ხოლო ბრინჯაოს მედლის – ბადრი ქიმაძე.

გამარჯვებული სპორტსმენები სწორედ იმ ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენენ, რომელიც იასპარეზებს „ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე „თბილისი 2015“. (ინტერპრესნიუსი)

## ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადებისა და გასაღების ფაქტზე, მანანა ჩიტაია დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა, რომელიც სხვადასხვა კერძო კომპანიებს უწევდა საბუღალტრო მომსახურებას, რამდენიმე კომპანიის სახელით დაამზადა და გაასაღა ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, თანდართული სასაქონლო ზედნადებებით, თითქოს მან ერთ-ერთ მოქალაქეს 143 000 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალა და საყოფაცხოვრებო ნივთები მიაწოდა.

ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადებისთვის მანანა ჩიტაიამ 18 000 ლარი აიღო. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2-დან 4 წლამდე ვადით. (ინტერპრესნიუსი)

## მოღალატე ოთხი-ხუთი მინისტრის თემა ჰაერიდან არ არის“



საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ვანო მაჭავარიანის განცხადებით, „მოღალატე ოთხი-ხუთი მინისტრის თემა ჰაერიდან არ არის, ის, რომ მას შეიძლება უნდოდეს მინისტრების შეცვლა, რეალურია, რადგან არ არის ეფექტური მთავრობა. მეც რომ ვიყო მის ადგილას, აუცილებლად შევცვლიდი მინისტრებს. ის, თუ როგორ დალაგდება ურთიერთობა პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, რთული სათქმელია. პარლამენტის თავმჯდომარემაც სცადა, რომ დაელაგებინა ეს ურთიერთობა, თუმცა უშედეგოდ...

„მე შემიძლია ვთქვა, რომ მარგველაშვილი და სააკაშვილი შეხვდნენ ერთმანეთს მოსაცდელ ოთახში ზუსტად ერთი წუთით, როდესაც შევიდნენ ერთად არკაში, შემდეგ პრეზიდენტი მარგველაშვილი წაიყვანეს, სადაც პრეზიდენტები იყვნენ“, – განაცხადა ვანო მაჭავარიანმა „მაესტროს ცხრიანში“.

მისივე თქმით, სააკაშვილსა და მარგველაშვილს შორის მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარი არ ყოფილა, რადგან მარგველაშვილს არ აქვს სურვილი, მიხეილ სააკაშვილს ესაუბროს.

როგორც მაჭავარიანი აღნიშნავს, საუბრები იმის შესახებ, რომ გიორგი მარგველაშვილი მიხეილ სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მჭიდრო კავშირში იმყოფება, სიმართლეს არ შეესაბამება და ეს თემა კონკრეტული პირების მიერ მიზანმიმართულად გავრცელდა...

გიორგიმ თავისთავად იცის, რამხელა შეცდომები აქვს დაშვებული მიხეილ სააკაშვილს. სააკაშვილს ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ და მისდამი ჩვენი დამოკიდებულება ცალსახად ჩამოყალიბებულია. ეს რომანტიზმი, სააკაშვილს, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და მარგველაშვილს შორის, უბრალოდ აბსურდია და ეს არის თემა, რომლითაც შეეცადნენ გადაეფარათ მნიშვნელოვანი შეხვედრა ბაიდენთან. იმიტომ, რომ ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე იყო საუბარი“, – აღნიშნა მაჭავარიანმა. (ნიუპოსტი)

## ნარმანიას 110 ათასი ლარი და საბანკო ანგარიშები



„ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა დავით ნარმანიამ ქონებრივი დეკლარაცია 16 ივნისს შეავსო. დეკლარაციის მიხედვით ყოფილმა მინისტრმა, გასულ წელს, დაახლოებით 110 ათასი ლარის შემოსავალი მიიღო. აქედან 90 165 ლარი, როგორც მინისტრმა, 22 830 ლარი როგორც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა, 2 805 ლარი კი – როგორც ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის რექტორმა.

ნარმანიას უძრავი ქონება თბილისში, ერთი ბინით – ფართობი 97.00 კვ.მ და ზუგდიდში სოფელ კოკიში მიწის ნაკვეთით – ფართობი 5000.00 კვ.მ შემოიფარგლება. მის სახელზეა რეგისტრირებული 2007 წელს გამოშვებული ავტომანქანა Mercedes Benz, E 350.

მერობის კანდიდატის საბანკო ანგარიშები: „თიბისი ბანკი“ სახელფასო 548.36; „თიბისი ბანკი“ მიმდინარე 3.2 ევრო; „თიბისი ბანკი“ საკრედიტო 3 993.35 ლარი; „თიბისი ბანკი“ სახელფასო 165.91 ლარი; „რესპუბლიკა ბანკი“ სახელფასო 800.41 ლარი; „პროკრედიტ ბანკი“ სახელფასო 39.04 ევრო; საკუთრებაში არსებული ნაღდი ფული 2 500 აშშ. დოლარი. ნარმანიას მეუღლეს, თინათინ თინიკაშვილს „თიბისი“ ბანკში სახელფასო 800.00 ლარი ერიცხება. ნარმანიას „ამხანაგობა „არენა 2010“-თან ბინათმშენებლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. უძრავი ქონების ღირებულება 86 450 აშშ დოლარია. სამწლიანი ხელშეკრულება თებერვალში დასრულდა, 2013 ამხანაგობას ნარმანიამ 24 000 დოლარი გადაუხადა. ავტომანქანისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციიდან გასულ წელს ნარმანიამ 5 200 დოლარი და 4500.00 ლარის შემოსავალი მიიღო. (პირველი რადიო)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





დამჭერთა 12% აქვთ. წესით, ისინი უნდა ისხდნენ და ფიქრობდნენ, როგორ აწიონ აქტივობა. როცა ხედავენ, რომ მათი საქმიანობა არ არის მხარდაჭერილი და ამიტომ არ მოდის არჩევნებზე ხალხი, ამიტომ უნდა შემოვიღოთ სხვა წესი, არჩევნებში სავალდებულო გამოცხადება. ეს წესი დანერგილია ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში. ჩვენ შეგვექმნა ეს პრობლემა, ამიტომ საჭიროა ხელისუფლებამ ფიქრი დაიწყოს, როგორ მოიყვანოს ამომრჩევლელი პოლიტიკური ძალის გამოჩენის შემთხვევაში შეიცვლება ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება, ხალხი ითხოვს დემოკრატიულ ცვლილებებს, ითხოვს რეფორმებს, ხალხი მოლოდინშია, რომ დასაქმდება, გაუჩნდება შემოსავლის წყარო და მხოლოდ მაშინ გახდება საინტერესო ცხოვრება. ხალხი ითხოვს ისეთი პოლიტიკური ძალის გამოჩენას, რომელიც სამართალს პურს აჭმევს, რომელიც ხალხს შეიყვარებს. იცით, ხალხის სიყვარული რაში გამოიხატება? 50-ათასლარიანი პრემია კი არ უნდა მიიღო ყოველ თვეში, 200-ათასიანი ჯიპით კი არ უნდა იარო, ფეხით უნდა გახვიდე შენს ხალხთან, მოიკლო შენ თვითონ ყველაფერი და ხალხს დაანახო, რომ შენც მათნაირი ხარ. როცა ხალხი ცხოვრობს კარგად, მაშინ შეგიძლია საკუთარ თავს მისცე ფუფუნების უფლება, მაგრამ შენ ცას ხელებს აწვდენ და ხალხი შიმშილისგან სულს ღაფავს, კომუნალურ გადასახადსაც კი ვერ იხდის, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა,

# ვალერი გელბახიანი: „კარგად დაიმახსოვრეთ, კარგად ორგანიზებული რევოლუცია მოდის ხელისუფლების წიაღიდან“

საქართველოს უახლეს ისტორიაში, ეს იყო პირველი უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ამომრჩეველმა აბსენტეიზმი გამოაცხადა. 70%-მა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა, რაც ნიშნავს, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობამ არჩევნებს თავი აარიდა. პრობლემები ხელისუფლებამ საკუთარ თავში უნდა ეძიოს. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ ხვდებიან საკუთარ დანაშაულს და ისინი კვლავ აგრძელებენ უტიფარ ქმედებას.

**„ალიას“ ესაუბრება იურისტი ვალერი გელბახიანი:**

– არჩევნებში ორი-მესამედის არმოსვლა, ნიშნავს ბოიკოტის გამოცხადებას. სახეზე გვაქვს სრული აბსენტეიზმი, როცა ორი-მესამედი ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს, ეს ნიშნავს, რომ ის ხელისუფლებას არ ენდობა და არც იმედი აქვს, რომ რაიმე შეიცვლება. ეს კიდევ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლების ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ამიტომ, საჭიროა დაუყოვნებლივ მივიღოთ ზომები. ამაზე თვითონ ხელისუფლება უნდა ფიქრობდეს, კი არ უნდა ზეიმობდეს, რომ ისინი არჩევნებში ლიდერობენ, სინამდვილეში მხარდამჭერთა... 

ბი არჩევნებზე, რათა მათ უფრო მეტი ლეგიტიმურობა ჰქონდეთ. თითოეულმა მოქალაქემ ვალდებულება უნდა იგრძნოს თავისი ქვეყნის წინაშე, კონკრეტული სანქციების შემოღების შემდეგ ადამიანები იძულებულები გახდებიან, მივიდნენ არჩევნებზე და მიიღონ მონაწილეობა, რადგან ეს არის სამოქალაქო ვალდებულება, რომელსაც არ უნდა გაექცე. სხვა გზა განვითარებისთვის ჩვენ არ დაგვრჩენია. იმისთვის, რომ არჩეულ ხელისუფლებას ჰქონდეს ხალხის მანდატი, ამის შემდეგ ძალიან ბევრი რამ გამოსწორდება.

**— როდესაც ამომრჩევლის ორი-მესამედი არ მიდის არჩევნებზე, ნიშნავს თუ არა, რომ ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას ითხოვს საზოგადოება. ჩვენ ვიცით, რომ პოლიტიკაში ცარიელი ადგილი არ არსებობს. როგორც ჩანს, ხმების 70%-ს ახალი პარტია დაეუფლება. ვინ იქნება ის?**

– აბსოლუტურად გეთანხმებით. საზოგადოებაში გაჩნდა მოთხოვნილება ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენის. ამ სიცარიელეს აუცილებლად ვილაც ამოავსებს. ხალხი ელოდება ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას. საჭიროა ისეთი ახალი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ამ პროტესტს პოზიტივისკენ განაწყობს, გამოაცოცხლებს საზოგადოებას, იმედს გაუჩენს მათ და მისცემს ინტერესს, რომ ახა-



ნდობა ქრება და ასეთი ხელისუფლება მხარდაჭერას ვერ მიიღებს.

**— როგორ ფიქრობთ, არასაპარლამენტო ოპოზიციური ძალები შეძლებენ, რომ ამომრჩეველთა აბსენტეიზმი დაარღვიონ და ის 70% არჩევნებზე მიიყვანონ. დარჩა რამე პოლიტიკური ხერხი?**

– ვერა, გამორიცხულია, ისინი ამას ვერ შეძლებენ. რასაც ჩვენ ვხედავთ პოლიტიკურ ავანსცენაზე, ამ ძალების მეშვეობით შეუძლებელია ამომრჩეველთა იმ ორი მესამედის გამოცოცხლება და მათი მოყვანა არჩევნებზე.

**„სამწუხაროდ, ნინო ბურჯანაძემ ხელიდან გაუშვა შანსი, გაეერთიანებინა ოპოზიცია და ჩამოყალიბებულიყო ნაციონალურ ლიდერად. ბურჯანაძეს დღეს ეს შანსები ნაკლები აქვს. არჩევნების წინ კი ნამდვილად ჰქონდა ეს შანსები“**

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საარჩევნო კომისიის წევრი და წარმომადგენელი გირაოთი გაათავისუფლეს



„ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს, ზურაბ ყოჩიაშვილსა და წარმომადგენელს, მამუკა ბაღაშვილის 5 000-ლარიანი გირაო შეეფარდათ, თუმცა ბრალდების მხარე მათ მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობას მოითხოვდა.

სასამართლო პროცესს საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც დაკავებულების განთავისუფლება პირადი თავდებობის საფუძველზე მოითხოვეს.

ერთ-ერთი ბრალდებული მამუკა ბაღაშვილი დედოფლისწყაროს „ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ლევან ბაღაშვილის ძმაა.

შეგახსენებთ, რომ პოლიციამ არჩევნების ღამეს ეს ორი პირი №14 საოლქო საარჩევნო კომისიაში მომხდარი ინციდენტის გამო დააკავა. შსს-ს ინფორმაციით, ბრალდებულებმა კომისიის წევრებს სიტყვიერი, ხოლო მე-7 საარჩევნო უბნის უფროსს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

საქმე ხულიგნობის მუხლით აღიძრა. საქმის არსებითი განხილვა სიღნაღის რაიონულ სასამართლოში 12 აგვისტოსთვის დაინიშნა. (ნიუპოსტი)

## შიხიაშვილის ხელფასი და პრემია — 14 160 ლარი



თბილისის საკრებულო ადასტურებს ინფორმაციას, რომ საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი, მისი მოადგილეები, კომისიის თავმჯდომარეები და წევრები ივნისის, ანუ ბოლო ხელფასთან ერთად პრემიებსაც აიღებენ.

როგორც ირკვევა, პრემიის ოდენობა 300% იქნება, აპარატის თანამშრომლების კი, 200%-ის ნაცვლად – 150%. იმის გათვალისწინებით, რომ საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასი 3540 ლარია, 300%-იან პრემიასთან ერთად შიხიაშვილის ამ თანამდებობაზე ყოფნის ბოლო ხელფასი და პრემია 14 160 ლარი იქნება. ხოლო მისი პირველი მოადგილის ჯაბა სამუშიას ხელფასი და პრემია – 11 800 ლარი.

სხვა მოადგილეების – 11 400 ლარი, კომისიის თავმჯდომარეების კი – 10 400 ლარი. როგორც საკრებულოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი: „თბილისის საკრებულოში არ არსებობს სახელფასო დანამატის პრაქტიკა. ამიტომ თანამშრომელთა წახალისება მხოლოდ პერიოდული პრემირებით ხდება. საკრებულო მთელი მისი ხელმძღვანელობით და აპარატით ბიუჯეტის მიღების დღიდან გადასულია არანორმირებულ სამუშაო რეჟიმზე, რათა ქალაქში განსახორციელებელი თითოეული პროექტი შეითანხმოს, რის გამოც ხშირ შემთხვევაში საკრებულოს ბიუროს სხდომები 12 საათის განმავლობაში მიმდინარეობს. საკრებულოს ამჟამინდელი შემადგენლობა მისი უფლებამოსილების ამოწურვის ბოლო დღემდე სწორედ ასე აპირებს საქმიანობის გაგრძელებას. ამიტომ, სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია, რომ საკრებულოს დეპუტატებმა გაწეული შრომისთვის დამსახურებული პრემია მიიღონ. აქვე ცალსახად აღვნიშნავთ, რომ შემაჯამებელი პრემიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება არ ყოფილა ვინმეს მიერ ერთპიროვნულად მიღებული. ეს არის საკრებულოს მრავალპარტიული ბიუროს გადაწყვეტილება, რამდენადაც ბიუროს შემადგენლობაში შედიან როგორც უმრავლესობის, ასევე სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## მარგველაშვილი სომეხ კოლეგას შეხვდა



საქართველოს პრეზიდენტმა სომეხ კოლეგასთან, სერჟ სარქისიანთან შეხვედრის შემდეგ იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსა და სომხეთის მჭიდრო თანამშრომლობა და ერთნაირი ხედვა სხვადასხვა მიმართულებებით კიდევ უფრო გაღრმავდება.

„ჩვენ ორ ქვეყანას მუდმივად გვაქვს ინტენსიური ურთიერთობები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს შეხვედრა ახალი ნაბიჯების გადადგმის წინ, როდესაც საქართველო 27 ივნისს ასოცირების ხელშეკრულებაზე მოაწერს ხელს, ხოლო ჩვენი მეზობლები და მეგობრები სულ მალე გაწევრიანდებიან საბაჟო კავშირში, ამ მომენტში უაღრესად მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ ჩვენს უაღრესად ახლო თანამშრომლობას პარტნიორებთან, სომხეთის სახელმწიფოსთან, ხაზი გავუსვათ იმას, რომ ამ ნაბიჯებს ექნება მხოლოდ პოზიტიური შედეგი ორივე ჩვენი ქვეყნის მომავლის თვალსაზრისით და იმას, რომ სავაჭრო ურთიერთობებს, რომელიც საქართველოს აქვს სომხეთთან და ამ მიმართულებით გვაქვს პოზიტიური დინამიკა, უფრო მეტი იმპულსი მიეცემა მომავალში ამ ურთიერთობებს. მე მინდა, მადლობა ვუთხრა ჩემს კოლეგას, იმისთვის, რომ ყველა ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს ერთნაირი ხედვა, მე მინდა, აგრეთვე მადლობა ვუთხრა მას გამომდინარე იქიდან, რომ სხვა მიმართულებებითაც, კულტურული, სამეცნიერო, განათლების მიმართულებით ჩვენ გვაქვს ერთნაირი ხედვა, ერთნაირად ვხედავთ მომავალს და ეს არის მხოლოდ თანამშრომლობისა და ურთიერთობების გაღრმავების მომავალი. კიდევ ერთხელ მინდა, მივესალმო სომხეთის პრეზიდენტს საქართველოში და კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა იმას, რომ ჩვენს შორის ურთიერთობ

ები ღრმავდება და პოზიტიური დინამიკით იზრდება“, – განაცხადა მარგველაშვილმა. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

თუ ახალი პოლიტიკური ძალა არ გამოჩნდა, ან თუ ხელისუფლებამ არ მიიღო კანონი არჩევნებში სავალდებულო მონაწილეობის თაობაზე.

– უახლეს ისტორიას ახსოვს ისეთი მაგალითიც, როდესაც შევარდნაძის ძველმა პოლიტიკურმა სახეებმა – ჟვანია-სააკაშვილმა, ახალი პოლიტიკური ლოზუნგებით შეძლეს ამომრჩეველთა მობილიზება. თუკი არასაპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანდება და ახალი სლოგანით გამოვლენ, ახლებურად წარუდგენენ თავს ამომრჩეველს, 70%-იან ნიშას აითვისებენ?..

– ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ვერ მოახერხებს გაერთიანებას. სამწუხაროდ, ნინო ბურჯანაძემ ხელიდან გაუშვა შანსი, გაეერთიანებინა ოპოზიცია და ჩამოყალიბებულიყო ნაციონალურ ლიდერად. ბურჯანაძეს დღეს ეს შანსები ნაკლები აქვს. არჩევნების წინ კი ნამდვილად ჰქონდა ეს შანსები. დღევანდელი მდგომარეობიდან მობილიზაცია, ინტეგრაცია და ერთიანი ფორმატის შექმნა არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან, რომლებიც არიან ახლა ავანსცენაზე, გამორიცხულია. მათგან ვერც ერთი ვერ გახდება ალიარებული ლიდერი. მხოლოდ ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას შეუძლია ეს.

**— თქვენი აზრით, ვინ შეიძლება იყოს ის ახალი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ამ ცარიელ ნიშას დაიკავებს?**

– ხალხში დავინახე ინტერესი ლევან ვასაძის გამოჩენასთან დაკავშირებით, მაგრამ ის რამდენად გახდება რეალური პოლიტიკური ლიდერი, რთული სათქმელია, რადგან ვასაძე ჯერჯერობით კულისებს მიღმაა, თუმცა მისი გამოსვლები, სლოგანები, საინტერესოდ გამოიყურება. თუ გააგრძელებს ამ რიტმში გამოსვლებს, ძალიან მალე დავინახავთ, შეძლებს თუ არა საინტერესო პოლიტიკურ ლიდერად ჩამოყალიბებას.



**„ხალხში დავინახე ინტერესი ლევან ვასაძის გამოჩენასთან დაკავშირებით, მაგრამ რამდენად გახდება ის რეალური პოლიტიკური ლიდერი, რთული სათქმელია, რადგან ვასაძე ჯერჯერობით კულისებს მიღმაა, თუმცა მისი გამოსვლები, სლოგანები, საინტერესოდ გამოიყურება“**

**— თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ ეს სიცარიელე ამოავსოს და ხალხის ნდობა დაიბრუნოს?**

– გასატარებელია რეფორმები, ოღონდ ეს რეფორმები უნდა იყოს პოპულარული და არა ისეთი, როგორსაც სააკაშვილი ატარებდა. მტკივნეულ რეფორმებს ხალხი ველარ გადაიტანს, იქნება მეტი აგრესია, რაც გამოიწვევს ქუჩაში ხალხის გამოსვლებს, ამიტომ რეფორმები უნდა იყოს აბსოლუტურად პოზიტიური. მათ მთლიანად უნდა შეკვეცონ სახელმწიფო ხარჯები, სამივლინებო თანხები, სახელფასო და საპრემიო ხარჯები, საწვავის ხარჯები, დაახლოებით 500 მილიონი მაინც უნდა მოიკლონ და სასწრაფოდ გადაისროლონ ეს თანხები სოფლის მეურნეობის სექტორში. დარწმუნებული ვარ, როგორც კი ამ კუთხით რეფორმას გაატარებენ, ხალხი სოფელს დაუბრუნდება და დასაქმების პრობლემის გადაჭრაც აქედან დაიწყება, მაგრამ ეს რეფორმა რომ გაატარო, უნდა იცოდე.

**— გასულ კვირას, ჩემთან ინტერვიუში განაცხადეთ, რომ არჩევნების შემდეგ ხელისუფლება დაიწყებდა ტოტალურ დაჭერებს. ეს პროცესი ხელისუფლებას პოპულარობას არ დაუბრუნებს?**

– დაჭერების პროცესი ხელისუფლებას პოპულარულს ვერ გახდის, პირიქით, ხელისუფლებას ეს პროცესი სააკაშვილად აქცევს, სააკაშვილს ჰქონდა ასეთი მეთოდი, როგორც კი დასრულდებოდა არჩევნები, იწყებოდა დაჭერები. ამით რა მოიგო სააკაშვილმა, ყველამ ვნახეთ. ვინც ფიქრობს, რომ „ნაცმოძრაობის“ დაჭერებით ხელისუფლების რეიტინგი გაიზრდება, ის ცდება, რადგან მათ ეს პროცესი დააგვიანეს. სამართალი უნდა დაემსგავსოს სამართალს, სააკაშვილის მიერ შექმნილი დრაკონული კანონები, ახლა არც ერთი არ უნდა იყოს მოქმედებაში. კეთილი ინებონ და შექმნან სამართლიანი კანონმდებლობა, დღევანდელმა ხელისუფლებამ ამ პერიოდის განმავლობაში არაფერი შეცვალა, რადგან მოსწონდა ის ძალადობრივი მექანიზმი, რომელიც ჩადებული იყო კანონებში.

**— „ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებს, რომ შემოდგომაზე საპროტესტო ელექტორატის აქციებს შეუერთდებიან. როგორ წარმოგიდგენიათ ხალხის და „ნაციონალების“ ერთობა საპროტესტო აქციების დროს?**

– „ნაციონალური მოძრაობა“ ამ აქციებს სათავისოდ ვერ გამოიყენებს, გამოჩნდება ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ ხალხს სათავეში ჩაუდგება, თქვენ თვითონვე თქვით, რომ ცარიელი ადგილი პოლიტიკაში შეუვსებელი არ რჩება, ამიტომაც გარწმუნებთ, რომ აუცილებლად გამოჩნდება ახალი პოლიტიკური ძალა, ამ ადგილს შეუვსებელს არავინ დატოვებს.

**— შეიძლება თავდაყირა დადგეს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები და ხელისუფლებამ დაკარგოს მანდატი?**

– გამორიცხული არაფერია, მე თქვენი გაზეთით მუდმივად ვაფიქსირებ ჩემს სიმპათიას ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ, ის არის ახალგაზრდა ენერგიული კაცი, უბრალოდ, პოლიტიკური გამოცდილება აკლია. მაგრამ ის არის ძალიან კარგი მასალა იმისთვის, რომ მისგან კარგი პოლიტიკოსი დადგეს. სიამოვნებით დავუჭერ მხარს, თუკი განახორციელებს იმ რეფორმებს, რაც ქვეყანას ასე ძალიან სჭირდება.



**„ირაკლი ღარიბაშვილი არის ახალგაზრდა ენერგიული კაცი, უბრალოდ, პოლიტიკური გამოცდილება აკლია. მაგრამ ის არის ძალიან კარგი მასალა იმისთვის, რომ მისგან კარგი პოლიტიკოსი დადგეს“**

**— რა ნაბიჯი უნდა გადადგას ღარიბაშვილმა, რომ გადარჩეს, როგორც პოლიტიკური ფიგურა?**

– მან სასწრაფოდ უნდა დაითხოვოს მთავრობა და მოიყვანოს რეფორმატორთა გუნდი, ამ განვითარების ლოგიკით, ფინალი იქნება კატასტროფა. გარდაუვალია მღელვარება, გამოჩნდება ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ ხალხს ჩაუდგება სათავეში, რომელიც იძულებულს გახდის მთავრობას, სახლში წავიდეს. ყველა ელოდება სიტუაციას, რომ კბილი გამოაჩინოს. ამ კბილებიდან დღეს ღიმილი მოჩანს, მაგრამ ხვალ შეიძლება ეშვები გამოაჩინონ. კარგად დაიმახსოვრეთ, კარგად ორგანიზებული რევოლუცია მოდის ხელისუფლების წიაღიდან. ამიტომ მთავრობაა დასათხოვი მთელი შემადგენლობით, შესარჩევია ახალი მთავრობა ეროვნულობის ნიშნით. პარტიულ ნიშანს თავი უნდა დაანებოს პრემიერმა, რადგან პარტიულ ნომენკლატურულ კონიუნქტურას კრიზისში შეჰყავს ქვეყანა. ამიტომ თქვენი გაზეთის მეშვეობით ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს ვურჩევდი, – დრო არ ითმენს, სასწრაფოდ შეცვალეთ მთავრობა, ბატონო ირაკლი!..

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შსს-მ ჩხუბში მონაწილე პოლიციელები სამსახურიდან გაათავისუფლა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩხუბში პოლიციელები სამსახურიდან გაათავისუფლა. სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადებით:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ 2014 წლის 17 ივნისს სამინისტროს თანამშრომლებს შორის სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შესახებ საპატრულო პოლიციიდან შემოსული შეტყობინების საფუძველზე ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება. გენერალური ინსპექციის დასკვნით, თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლები ირაკლი დარახველიძე, რევაზ კაკალაშვილი, გივი გამეზარდაშვილი და კადრების განკარგულებაში მყოფი დავით კანდელაკი დათხოვნილი არიან სამსახურიდან.

ოთხივე თანამშრომელს „შს სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ (ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, მოსამსახურის ან დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი, განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ) და „ვ“ (მოსამსახურისთვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის შეეფარდა დისციპლინური სახდელი – სამსახურიდან დათხოვნა“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## მოსკოვში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი გიზო დააკავეს



რუსული მედიის ინფორმაციით, 36 წლის გიზოს რუსეთის ტერიტორიაზე ყოფნა გასული წლის ნოემბრიდან აეკრძალა.

„გასული წლის ნოემბერში მოსკოვის რაიონული სასამართლოს მიერ მას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შესვლა ხუთი წლით აეკრძალა. განიხილება დაკავებული ე.წ. კანონიერი ქურდის საქართველოში დეპორტირების საკითხი“, – ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მაქსიმუმზე მაქსიმუმი შედეგი აჩვენა“



საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის გუგული მაღრაძის განცხადებით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თვითმმართველობის არჩევნებზე მაქსიმუმზე მაქსიმუმი შედეგი აჩვენა.

„მას ჰქონდა უზარმაზარი რესურსი – თბილისის მერია დღემდე დაკომპლექტებულია „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრეებით და აქტივისტებით, ასევეა ბევრ რაიონში. თბილისის მერიაში და გამგეობებში 30 000 ადამიანი მაინც მუშაობს, პლუს ჯგუფი, რომელიც სექტასავით არის – დღესაც არიან ადამიანები, კარგი გაგებით, ზვიადისტები, ასე არიან „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგებიც. ეს რესურსი შემდეგში „ნაციონალურ მოძრაობას“ აღარ ექნება და მის გაძლიერებაზე საუბარი ზედმეტია“, – განაცხადა მაღრაძემ. (ნიუპოსტი)

## ხაჩიძე პრემიერს, — „ნაციონალები“ ჩვენს წონებსა და ფეხის ზომებს მოგაწვდით“



უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე პრემიერ-მინისტრს „ნაციონალების“ რადარებიდან გასაქრობად იდეას სთავაზობს.

„რადგან არჩევნების შემდეგ მეტი საქმე აღარ დაგრჩათ, გარდა იმის მტკიცებისა, როგორ გავედით „ნაციონალები“ არა მე-2 ადგილზე, არამედ მე-3, მე-4, მე-5 და ა.შ. საინტერესო იდეას გთავაზობთ: მოდით ახლა „ნაციონალები“ აგვწონეთ, შედეგი გაყავით ჩვენივე ფეხის ზომების საერთო ჯამზე და ბოლოს გამოითვალეთ მიღებული რიცხვის ხვედრითი წილი დედამიწის მასასთან შეფარდებით.

იქნებ ეგრე მაინც გავქრეთ რადარებიდან. ჩვენს წონებსა და ფეხის ზომებს მოგაწვდით. კალკულატორი თუ არ გაქვთ, მდივანს გასძახეთ. აბა ჰე, შეუდექით!“, – წერს ხაჩიძე „ფეისბუკზე“. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



# რით ხსნის პარლამენტის ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე მოსახლეობის 70%-ის არჩევნებზე მიუსვლელობას და „ნაცმოძრაობის“ 27%-ს?

ბოლო სამი არჩევნები — დაპირებები, დაპირებები და დაპირებები, ერთი და იგივე ტექსტები... როცა ქვეყნის მოსახლეობის 70-მდე პროცენტი რჩება, ეს დამაფიქრებელია უპირველესად ხელისუფლებისთვის. რამდენიმე ჩინოვნიკმა უკვე დააანონსა, კოჰაბიტაცია და მორატორიუმი მეორე ტურის დამთავრებამდე, ანუ ივლისის ბოლომდე გადაიწევსო. ეს უკვე ცინიზმში გადადის, რაც ძალიან ცხელ შემოდგომამდე მიგვიყვანს. საშემოდგომო აქციებისთვის „ნაციონალებიც“ ემზადებიან და აცხადებენ, უკმაყოფილო ხალხს ჩვენც შევუერთდებითო. თუ „ნაციონალები“ ქუჩაში გამოვლენ, გამწარებული ადამიანები კვერცხების სროლას აღარ დასჯერდებიან, რუსთაველზე კიდევ ერთხელ დადგება სისხლის გუბეები.

„ალიას“ პარლამენტის ვიცე-სპიკერი, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, **მანანა კობახიძე** ესაუბრება:



**— ქალბატონო მანანა, დავიწყოთ „ნაციონალების“ „ბლატაობით“, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პრემიერ-მინისტრს ეძახიან ცვედანს...**

– ვიცი, რასაც ეძახიან, ამაზრზენია ეს ყველაფერი.

**— დამნაშავეების თარეში, დაზარალებულების... ეს ყველაფერი თქვენ არ გაშინებთ?**

– მე ნამდვილად მესმის საზოგადოების ნაწილის აღშფოთება. ძალიან მძიმე და რთულია ამ ყველაფრის მოსმენა. ასევე, ძნელია იმ ბრალდებების მოსმენა,

– მესმის... პირველ რიგში, ჩვენ „ნაცმოძრაობას“ უნდა ვაჩვენოთ, რომ ეს ძალა არ არის რეალური ოპოზიცია. უკვე ორი წელია, ვისმენთ მითს, თურმე „ნაცმოძრაობა“ მთავარი ოპოზიციური ძალაა, თურმე ისინი არიან კვალიფიციურები. ჩვენ ის მითიც უნდა დავამსხვრიოთ, რაც შექმნეს დასავლეთის თვალში, „ნაცმოძრაობა“ არ არის რეალური ოპოზიციური ძალა. ხომ ვიცით, რომ ამ ორგანიზაციის დანაშაულებრივ საქმიანობას ორგანიზებას უკეთებდნენ ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გიგი უგულავა და სხვები? ისიც ხომ ფაქტია, რომ მაგათი პარტიის გენმდივანი კრიმინალია? დღეს მერაბიშვილი ისევ მაგათი ხელმძღვანელია.

**— ახლა ყველაზე ძალიან რაც მაინტერესებს, იმაზე მიპასუხეთ. 70% არ მივიდა არჩევნებზე და ამის გამო, ძალიან ბევრი თქვენი მომხრე, რომელიც კარგ ადგილზე მუშაობს და კარგი ხელფასი აქვს, ხალხს ლანძღავს, არჩევნებზე გამოსვლა გეზარებათ, რა ჯანდაბა დაგეტაკათო? როგორ ფიქრობთ, რატომ არ მივიდა ხალხი არჩევნებზე?**

– მე არამც და არამც არ მიმაჩნია სწორად იმედი გაუცრუვდა. ზუსტად იმედგაცრუებული ადამიანების პრობლემების მოგვარებაზე უნდა იზრუნოს ხელისუფლებამ. ვინც დაიმედებული იყო, რომ ჩვენ ისედაც მოვიგებდით, ეს ნაკლები პრობლემაა. სასაყვედურო ამ მხრივ არის, მაგრამ ვინც რაღაცის გამო გაბრაზდა, ბუნებრივია, ამ ადამიანების ბედით უნდა დავინტერესდეთ. ესე იგი, რაღაც ისე არ იყო. ხელისუფლებისთვის ნებისმიერი არჩევნები არის ტესტი, თვითკმაყოფილების საფუძველი არ უნდა არსებობდეს. ჩვენ რომ 67 პროცენტით მოვალთ საკრებულოებში მთელი საქართველოს მასშტაბით, ეს არ გვაძლევს დამშვიდების საფუძველს.

**— ქალბატონო მანანა, პრემიერი საზოგადოებას ამშვიდებდა, რომ „ნაცმოძრაობა“ რადარიდან ქრებოდა, 6-7 პროცენტზე მეტს ვერ აიღებენო, მაგრამ ისინი 27 პროცენტამდე ავარდნენ.**

– მათ თბილისში ვერც ერთი მაჟორიტარული ოლქი ვერ მოიგეს, ვერც თვითმმართველი ქალაქები და ქვეყნის მასშტაბით სულ 64 კანდიდატი გაიყვანეს. აი, ეს არის 6 პროცენტი, რეალურად ეს არის მათი რეიტინგი. თუმცა რაც ისმის „ნაციონალებისგან“. მაგალითად, როცა ირმა ნადირაშვილი საუბრობს რაღაც გაყალბებაზე, ან ნუგზარ წიკლაური, ან ხათუნა გოგორიშვილი, მიშა მაჭავარიანი, რაღაც სქემებზე, ეს ამაზრზენია. როდესაც ისინი საუბრობენ ძალადობაზე, დაშინებაზე და სასამართლოს მიკერძოებაზე, საზოგადოებამ კარგად იცის, რას აკეთებდნენ ეს ადამიანები წლების განმავლობაში. დღეს ამათი რიტორიკა იწვევს მწვავე რეაქციას და მე ეს მესმის.

**— კი, ბატონო, ეს იყო კრიმინალური რეჟიმი, მაგრამ ახლა აგრესია გადმოდის თქვენზე.**

– დიახ, გადმოდის ჩვენზე და მესმის, რატომაც.

**— იმიტომ, რომ დამნაშავე არ ზის ციხეში. იმიტომ, რომ არ შესრულდა უამრავი დაპირება, არ აღდგა სამართლიანობა...**

ხალხის ლანძღვა. რა თქმა უნდა, მიზეზები საფუძვლიანად არის შესასწავლი: რა იყო ეს, საზოგადოებამ ჩათვალა, რომ ჩვენ მაინც გავიმარჯვებდით და არ მოვიდა? ნაწილობრივ ასეც იყო. როდესაც ხელისუფლება არ ძალადობს ხალხზე, ასეთ ვითარებაში არჩევნების მიმართ ინტერესი ნაკლებია. რაც უფრო მეტია დაპირისპირება და ძალადობა, მით მეტია ბრძოლისუნარიანობა. თუმცა აქვე ვამბობ, შეიძლება ადამიანების ნაწილი იმიტომაც არ მოვიდა, რომ

**„უკვე ორი წელია, ვისმენთ მითს, თურმე „ნაცმოძრაობა“ მთავარი ოპოზიციური ძალაა, თურმე ისინი არიან კვალიფიციურები. ჩვენ ის მითიც უნდა დავამსხვრიოთ, რაც შექმნეს დასავლეთის თვალში, „ნაცმოძრაობა“ არ არის რეალური ოპოზიციური ძალა“**

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ბათუმში 20 წლის ახალგაზრდას ეძებენ



ბათუმში 20 წლის ბექა გოგიტიძეს ეძებენ. ახალგაზრდა თურქეთში ქალაქ ქემალფაშაში მუშაობდა. მან სამუშაოს დასრულების შემდეგ, 16 ივნისს, საზღვარი 17:50 საათზე გადმოკვეთა. არსებული ინფორმაციით, ის საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება. (ნიუპოსტი)

## ყაზბეგში მთიდან ალპინისტი ჩამოვარდა



ყაზბეგის 3700 მ-ის სიმაღლიდან კრასნოდარელი ალპინისტი ჩამოვარდა. ის ოთხკაციანი ალპინისტების ჯგუფში შედიოდა, რომელიც ყაზბეგზე რუსეთის მხრიდან ადიოდა. რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამაშველო სამსახური შემთხვევის ადგილზე გასულია. ჯერჯერობით უცნობია, ცოცხალი თუ არა ალპინისტი. (ნიუპოსტი)

## „ძაღლობამ ვერხი აიღო“



თბილისის ყოფილი მერი, ტელევიზიით და სოციალურ ქსელებში გავრცელებულ იმ კადრებს ეხმაურება, სადაც არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პოლიციელების ჩხუბია გადაღებული.

„ყველაზე მძიმე საყურებელი ამ კადრებში, ცალკე აღებული, პოლიციელების ქცევა კი არაა (ნასვამი ვინ არ ყოფილა, თუმცა საჯარო სივრცეში ასეთი რამ ამაზრზენია), არამედ ის, თუ როგორ უტევს „ძაღლობა“, როგორც 90-იანი წლების სიმბოლო – „პატრულს“, როგორც თანამედროვე პოლიციელის სიმბოლოს. სამწუხაროდ, ჩვენი შიში დასტურდება, „ძაღლობამ ვერხი აიღო“, – წერს უგულავა „ფეისბუკზე“. (ნიუპოსტი)

## „ფორმულა „ყველა ყველაზე“ მისასალმებელია...“



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი გამოეხმაურა ომბუდსმენის ინიციატივას, ქართველი და ოსი პატიმრების გაცვლის თაობაზე:

„სახალხო დამცველის მოწოდებას მივესალმები. სამუშაოა ამ საკითხზე, მაგრამ მხოლოდ სახალხო დამცველის პოზიციები ვერ იქნება გათვალისწინებული, აქ გასათვალისწინებელია, რა ხდება აფხაზურ მხარეს, ცხინვალის მხარეს, რუსული ფაქტორი. მიმაჩნია, რომ საერთაშორისო ფორმატით უნდა მოხდეს ამ საკითხის მორიგება. მსგავს სიტუაციებში საერთაშორისო ფორმატი უფრო ეფექტურად მუშაობს, როცა მხარეებს შორის არის ხოლმე პრობლემები. თავად ფორმულა „ყველა ყველაზე“ მსოფლიოში მიღებული და ეფექტურია. ძალიან კარგია დაძაბულობის განსამუხტად, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მომავალში არ გვეყოლება პატიმრები. ვიდრე კონფლიქტი ამოწურული არ არის, ყოველთვის გვეყოლება გატაცებული ადამიანი, თუმცა ჩვენი პატიმრები მომავლის მძევლებად არ უნდა ვაქციოთ“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

მისივე თქმით, ინიციატივის მიღებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

„ჯერ ამოქმედებაზე საუბარი ზედმეტია. უნდა განიხილონ სახელმწიფო სტრუქტურებში, შემდეგ კი საჭიროა მეორე მხარეს გასვლა. თავად პრინციპი მისაღებია, უნდა ვიმსჯელოთ და თუ არ გამოვა, განვაცხადოთ, რომ არ გამოდის, ხოლო თუ გამოდის, უნდა ავამუშაოთ“, – დასძინა ზაქარეიშვილმა. (ნიუპოსტი)

## სომხეთს რკინიგზის გახსნა უნდა



აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის საკითხი შესაძლოა, ისევ აქტუალური გახდეს. სომხეთის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის პარალელურად რუსული პრესა, რუსეთ-საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი სარკინიგზო მიმოსვლის შესახებ აქტიურად წერს.

რუსეთის რკინიგზის ხელმძღვანელის, ვლადიმერ იაკუნინის განცხადებით, ეს თემა მან სომხეთის პრეზიდენტთან თბილისში გამგზავრებამდე განიხილა.

აღნიშნულ საკითხზე კომენტარი გააკეთა სომხეთის პრეზიდენტმაც. სერჟ სარგსიანის განცხადებით, აღნიშნულ თემაზე სერიოზული საუბარი არ ყოფილა, თუმცა სომხეთს სარკინიგზო მაგისტრალის ამუშავება სურს. „ჩვენ გვინდა, რომ ამ გზამ ფუნქციონირება დაიწყოს. ეს ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რკინიგზის გახსნა არა მხოლოდ სომხეთსა და რუსეთზეა დამოკიდებული, არამედ სხვა მხარეებზეც და ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ ამ თემაზე“. – განაცხადა სარგსიანმა (ნიუპოსტი)

*მეხუთე გვერდიდან*

გულზე ხელები არ უნდა დავიკრიფოთ და ვთქვათ, ყველაფერი კარგადააო.

**— თბილისმა დავით ნარმანიასაც არ მისცა საჭირო ხმების რაოდენობა.**

– ახლა ლაპარაკია მეორე ტურზე, ნარმანიას უპირისპირდება მელია, რომელიც 7 ნოემბრის აქციების დარბევებშია შემჩნეული. მივედით მეორე ტურამდე, ამის მიზეზები შეიძლება ისიც არის, რომ ჩვენი მოსვლის შემდეგ თბილისისთვის ცვლილებები შეუძლებელი იყო, უგულავასა და „ნაციონალურ მოძრაობას ლამის დაპყრობილი ჰქონდათ დედაქალაქი და გზების გარემონტებაც კი არ ხდებოდა. ფაქტობრივად, ხელისუფლება ვერაფერს ვერ აკეთებდა, ესენი სოციალურ დახმარებებსაც კი მხოლოდ თავიანთ მომხრეებს აძლევდნენ. ამან გარკვეული ნიჰილიზმი გამოიწვია.



„ქართული ოცნება" სულ ჩამჩიჩინებს, რიჩარდ ნორლანდმა კოჰაბიტაცია დაგვიწესა და ამიტომ გვეშლება ხელიო. ხალხს სულ არ აინტერესებს ამერიკელი ნორლანდი, სამართალმა პური უნდა ჭამოს"

**— ესე იგი, ჩვენ ვიწყებთ პრობლემაზე საუბარს და ბოლოს მაინც მივდივართ დაუსჯელ „ნაციონალებამდე". ხალხი უკვე აღარ ლაპარაკობს საწარმოებზე, სამუშაო ადგილებზე, რამ შეგიშალათ ხელი, რომ ადამიანების გული მოგეგოთ და სამართლიანობა აღგედგინათ? ეს „ქართული ოცნება" სულ ჩამჩიჩინებს, რიჩარდ ნორლანდმა კოჰაბიტაცია დაგვიწესა და ამიტომ გვეშლება ხელიო. ხალხს სულ არ აინტერესებს ამერიკელი ნორლანდი, სამართალმა პური უნდა ჭამოს.**



„ნარმანიას უპირისპირდება მელია, რომელიც 7 ნოემბრის აქციების დარბევებშია შემჩნეული. მივედით მეორე ტურამდე, ამისი მიზეზები შეიძლება ისიც არის, რომ ჩვენი მოსვლის შემდეგ თბილისისთვის ცვლილებები შეუძლებელი იყო"

– რა თქმა უნდა, კოჰაბიტაციამაც შეგვიშალა ხელი. რეალურად კოჰაბიტაცია არც კი ყოფილა, ეს იყო ბრძოლა. რა მშვიდობიანი თანაარსებობა შეიძლება „ნაციონალებთან"? ამ ვითარებაში სამართლიანობის აღდგენა რომ შეფერხებული იყო, ეს ფაქტია. ჩვენ უნდა წავსულიყავით ან იმ გზით, რა გზითაც თავის დროზე „ნაცმოძრაობა" წავიდა, ან კიდევ კანონის გზით. თუმცა ვაღიარებ, ძალიან რთული აღმოჩნდა ამ გზით სიარული.

**— შემოდგომაზე იმედგაცრუებული ხალხი გეგმავს ქუჩის აქციების დაწყებას. „ნაციონალები" აცხადებენ, ამ აქციებს ჩვენც შევუერთდებითო. ვინც მაგათ გვერდში დაუდგება, ძაღლი მიაკვდა სულში, მაგრამ აქ ორი სახის საშიშროებაა: თუ ხელისუფლება მაგათ კიდევ არ მიუჩენს ადგილს, სისხლი დაიღვრება, ხალხი მაგათ გადაუვლის, მაგრამ მერე რას იზამს, არ ვიცი.**

– რა თქმა უნდა, ეს საფიქრალი თემაა, თუკი „ნაციონალებს" ქუჩაში გამოხტომა აქვთ გადაწყვეტილი, ძალიან დიდი აგრესია იქნება მათ მიმართ. ჩვენი ვალდებულებაა, რომ ეს არ დავუშვათ, ქუჩაში ანგარიშსწორება დაუშვებელია.

**— რაც დაშვებულია, ის გააკეთეთ.**

– ვისაც პასუხი უნდა მოეთხოვოს, იმას სამართლებრივად მოეთხოვება კიდეც. ვისაც დანაშაული უმტკიცდება და დაუმტკიცდება, ის ქუჩაში თავისუფლად არ უნდა დადიოდეს. ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აღსრულდეს მართლმსაჯულება. გნებავთ, ეს იყოს ჩვენი ხელისუფლების წევრი, არა აქვს მნიშვნელობა. რაც შეეხება იმედგაცრუებულ ხალხს, ჩვენი ვალდებულებაა, რომ მივხედოთ, აქ ორი აზრი არ არსებობს.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ივანიშვილის განცხადების შემდეგ, მთავრობამ დისტანცია დაიჭირა პრეზიდენტისგან"



პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ვანო მაჭავარიანის განცხადებით, ქვეყნის პირველი პირის ადმინისტრაციას მთავრობამ, ფაქტობრივად, უარი უთხრა საზღვარგარეთ ვიზიტებში მონაწილეობაზე.

„გიორგი მარგველაშვილმა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მთხოვა, მისი მრჩეველი ვყოფილიყავი, უკვე კამპანიის წარმატებულად დასრულების შემდეგ მთხოვა, ვყოფილიყავი მისი საგარეო ურთიერთობათა მდივანი. ეს თავისთავად გულისხმობდა, რომ უნდა ყოფილიყო სამდივნო თავისი ანალიტიკური, ორგანიზაციული თუ პროტოკოლური ნაწილით და ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ჩვენ დავგეგმეთ ის პროცესი, რასაც ჰქვია სახელმწიფო მეთაურის, ქვეყნის უმაღლესი დონის წარმომადგენლის საგარეო ურთიერთობები.

თავისთავად ეს ძალიან რთული იყო, რადგან პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივად, მარტო გვიწევდა მუშაობა იმ რეჟიმში, როდესაც მთავრობამ, ფაქტობრივად, უარი გვითხრა ვიზიტებში მონაწილეობაზე, ძალიან ფორმალურ და ზედაპირულ ინფორმაციას ვიღებდით ზოგადად ძალიან ბევრ ქვეყანასთან მიმართებაში, სადაც მივდიოდით. ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ, მთავრობამ დისტანცია დაიჭირა პრეზიდენტისგან და პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან.

რა თქმა უნდა, ახლა იქნება საუბარი, რომ ეს არ ყოფილა, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ეს ასე იყო", – განაცხადა ვანო მაჭავარიანმა და დასძინა:

„ძალიან დიდი შრომა ჩავდეთ და გიორგის ძალიან სწორი საგარეო პოლიტიკური ხედვა ჩამოუყალიბდა ქვეყნებს შორის და რეგიონული მასშტაბით, რაც პრეზიდენტებს შორის ურთიერთობისას აუცილებელია. ვერ დაჯდები სხვა ქვეყნის პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაწერილი ინფორმაციული ცნობით ვერ დაელაპარაკები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კონცეპტუალური ხედვა ჩამოყალიბდა ამ კუთხით პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ეს, რა თქმა უნდა, არ მოსწონდათ, იმიტომ რომ მათ მიაჩნდათ, რომ პრეზიდენტს არ უნდა ჰქონოდა თავისუფალი გასაქანი. მათ მიაჩნიათ, რომ კონსტიტუცია ზღუდავს". (ნიუპოსტი)

## პრემიერის ხელმძღვანელობით, ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა



მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც პროგრამის – „აწარმოე საქართველოში" მიმდინარეობის შესახებ იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ სახელმწიფო პროგრამა ბიზნესმენების დიდი დაინტერესებით სარგებლობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მასშტაბით იმართება პრეზენტაციები, რომელიც 15 ივლისს უნდა დასრულდეს. პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://qartuli.ge/ და ცხელი ხაზის მეშვეობით, ნომრებზე: 2 99 10 44/ 2 99 11 28, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საკუთარი იდეების წარდგენის შესაძლებლობა მიეცემა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ქართული ოცნება" გაქრება და „ნაცმოძრაობა" დაბრუნდება"



„დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ, თუ ხელისუფლებამ ასე გააგრძელა, დიდი ალბათობით, „ნაციონალური მოძრაობა" დაბრუნდება".

„დღევანდელი ხელისუფლების დამსახურებაა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ჯერ კიდევ მეორე პოლიტიკური ძალაა ქვეყანაში და უფრო და უფრო ძლიერდება. თუ ასე გააგრძელებს ხელისუფლება, დიდი ალბათობით „ოცნება" შეიძლება გაქრეს პოლიტიკური ასპარეზიდან და „ნაციონალური მოძრაობა მობრუნდეს ხელისუფლებაში", – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. (ნიუპოსტი)

## გერმანიის მთავრობამ ევროკავშირთან ასოცირებაში მხარი დაგვიჭირა



გერმანიის მთავრობამ გზა გაუხსნა საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერას.

„დოიჩე ველეს" ინფორმაციით, მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე მთავრობის წევრებმა ფორმალურად დაუჭირეს მხარი შეთანხმებას, რომელსაც ხელი 27 ივნისს მოეწერება. გერმანიის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის შტეფენ ზაიბერტის განცხადებით, ამით იხსნება თანამშრომლობის გზა, სტაბილურობის გამყარება და კეთილდღეობის ამაღლება აღმოსავლეთ ევროპასთან კეთილმეზობლური ურთიერთობების ფარგლებში.

მისი თქმით, მიღწეული შეთანხმების ნაწილი გახდება პოლიტიკური დიალოგი ისეთ თემებზე, როგორებიც არის დემოკრატია, ადამიანის უფლებები და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლების გამყარება. (ნიუპოსტი)

## ზუგდიდის საკრებულოში „ნაცმოძრაობას" 4 წევრი ეყოლება



ცესკო-ს ბოლო მონაცემებით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ყოფილ მმართველ გუნდს 14 წევრი ეყოლება. აქედან 7 მაჟორიტარი, 7 კი პროპორციული სიით შესული დეპუტატია.

ზუგდიდის თვითმმართველი თემის საკრებულო სულ 45-კაციანია „ნაციონალების" გარდა, 8 წევრი პროპორციული წესით „ქართულ ოცნებას" შეყავს, მმართველ გუნდს საკრებულოში, ასევე, 20 მაჟორიტარი ეყოლება. ორ მაჟორიტარულ ოლქში გამარჯვება საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა მოიპოვეს.

ამ დრომდე უცნობია, ვის ეყოლება ანაკლიის მაჟორიტარული ოლქიდან დეპუტატი, რადგან ანაკლიის 32-ე უბანზე არჩევნები ჩაიშალა. ანაკლიის მაჟორიტარის ბედი განმეორებითი კენჭისყრის ჩატარების შემდეგ გახდება ცნობილი.

რაც შეეხება თვითმმართველ ქალაქ ზუგდიდის საკრებულოს, აქ 15-კაციან საკრებულოში პირველადი მონაცემებით, 10 დეპუტატი „ქართულ ოცნებას", 4 „ნაციონალურ მოძრაობას", 1 კი „ბურჯანაძე-ერთიან ოპოზიციას" ჰყავს. (ნიუპოსტი)

## „პრემიების საკითხი სასწრაფოდ დასარეგულირებელია"



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის ზვიად ძიძიგურის აზრით, პრემიების საკითხი სასწრაფოდ დასარეგულირებელია.

„მე ვიცი, რომ საქართველოს მთავრობა მუშაობს ამ თემაზე და უახლოეს ხანში უნდა შემუშავდეს რეგულაციები ისე, როგორც ეს არის გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა წამყვან ქვეყნებში, როცა არ არსებობს რაიმე ტიპის შეზღუდვები, მაშინ ადამიანების ჩინოვნიკების ნებას მიენდო, ვინ რამდენ პრემიას გამოიწერს, არ არის ჩვენი ქვეყნისთვის კარგი და საზოგადოების ძალიან სამართლიან გულისწყრომას იმსახურებს. როგორც ჯიპების თემა გადაწყდა, როდესაც მთავრობამ რეგულაცია გამოაქვეყნა, ასევე უნდა მოიხსნას ყოველგვარი კითხვის მნიშნები პრემიებთან დაკავშირებით და ეს რაც შეიძლება, მალე უნდა გაკეთდეს", – განაცხადა ძიძიგურმა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი გამოცდების ეროვნულ ცენტრს ბრალს სდებს!

**გამოცდების ეროვნული ცენტრი: ,,არ ვიცით, ეს ქალბატონი უბრალოდ ცდება, თუ მიზანმიმართულად აკეთებს ამას ცენტრის თანამშრომლების კომპრომეტირების მიზნით“**

**„ალიას“ ესაუბრება განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი:**

– მაისის ბოლოს ჩატარდა მე-12 კლასელების „კატის“ გამოცდები და მაშინ ვსვამდი კითხვას, ასეთი არეული პროგრამითა და ტესტებით ნეტა მე-11 კლასელების გამოცდები როგორ ჩატარდება-მეთქი? აი, ამ კვირაში, ორშაბათიდან დაიწყო მე-11 კლასელების საატესტატო გამოცდები, სადაც ისინი აბარებენ ოთხ საგანს. ესაა: ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია და ბიოლოგია. თავიდანვე ვიტყვი, რომ ქიმია ყველაზე რთული საგანია და ამით არ უნდა დაეწყოთ გამოცდები და საბოლოოდ დავასკვენი, ეროვნული საგამოცდო ცენტრი მუშაობს იმ მიზნით, რომ მორალურად, ფიზიკურად და ყველანაირად გატეხონ ბავშვები. ვსვამ კითხვას: ამ სახელმწიფოს საერთოდ, პატრონი ჰყავს? რატომ არ ალაგებს მაია მიმინოშვილი ამ პროგრამას? ისევ არეულია!

**— როგორ ტარდება ეს ახალი გამოცდები, მართლა არ შეიცვალა რამე?**

– როგორ გეკადრებათ! გამოცდები ტარდება ისევ არაორგანიზებულად. ბავშვებს ოთხჯერ, ხუთჯერ, შვიდჯერ უწყდებათ საგამოცდო პროცესი. სისტემა გაუმართავია – როგორც შინაარსობრივად, ისე მექანიკურად. ბავშვები ამბობენ, გავეცით რვა და ათი პასუხი და უცებ გაითიშა სისტემა, მერე ხელახლა დაიწყო ჩართვა პროგრამამ, მაგრამ იმ ქულებს გვაკლებენო. იყო ტესტები, საერთოდ რომ არ ჰქონდა პასუხი, ანუ, ა, ბ, გ, დ პასუხების ნაცვლად იყო მხოლოდ წერტილებიო. ძალიან ბევრი შემთხვევაა, როცა ნახატებია ტესტში, გრაფიკული გამოსახულება და თავად ტესტის პროგრამა კარნახობს, რომ თავად სურათზე დაკვირვებით გაეცით პასუხიო და ამ დროს სისტემა არ ხსნიდა ამ გრაფიკულ გამოსახულებებს.

**— მერე, რატომ არ რეკავდნენ ეროვნული გამოცდების ცენტრში ამის გამო?**

– მეთვალყურეები ეუბნებოდნენ თურმე ბავშვებს, ამას აზრი არა აქვსო, დააკლიკე და გადადი შემდეგ კითხვაზეო. ამ დროს ქულები ხომ აკლდება. აი, ასეთი გამოცდები ტარდება. ანუ, უკიდურესი არეულობაა, უფრო მეტი არეულობაა, ვიდრე მე-12 კლასელების ტესტების დროს და კიდევ ვინმეს უკვირს, რომ არჩევნებზე ხალხი არ მივიდა? რა უბედურებაა ეს? როგორ, კაცო, შექმნილია, ზემდგომი ჰყავს ამ გამოცდების ცენტრს სამინისტრო და არ შეიძლება ეს მიმინოშვილი რომ გააკონტროლონ? მე მიკავშირდებიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან და მეუბნებიან, რომ ძალიან ბევრმა ბავშვმა ვერ აიღო ატესტატი და არავინ ელაპარაკება იმ ბავშვებს და მათ მშობლებს. ასეთი გაუმართავი სისტემის დროს რომ მინიმალურია კომპეტენციის ზღვარი, არ შეეძლო რეაგირება მინისტრს? გამოაქვეყნეს საერთოდ ჩაჭრილების სია? მიმინოშვილს უნდა ჩაეტარებინა დიდი პრესკონფერენცია და ჩაატარა? ახლა წარმოგიდგენიათ, რა მოხდება ეროვნულ გამოცდებზე? იქნება ურთულესი და უხარისხო ტესტები. საშინელება ტრიალებს. ხუთშაბათს არის ბოლო გამოცდა, ფიზიკაში და მაინტერესებს, როგორ ჩატარდება. საერთოდ, ვისაც უნდა მიეღო მაღალი ქულები, ყველამ დაბალი ქულები მიიღო, ბავშვები გაოგნებულები გამოდიან გამოცდებიდან, ტესტებში უამრავი არაპროგრამული მასალაა შეტანილი, თან ყველა საგანში. გეოგრაფიაში არაპროგრამული იყო, ქიმიაში, ბიოლოგიაშიც. მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს გამიზნულად ხდება, რა თავად არ იციან, პროგრამულია კითხვა, თუ არა?

**— მიზანი?**

– ეს ქალი ამბობს, გრანტი უნდა მივიღოო. მე ხომ გახსნილად ვლაპარაკობ ამ ხარვეზებზე, ეტყობა, „ალიაში“ გამოქვეყნებულ ჩვენს ინტერვიუს უპასუხა მიმინოშვილმა და ქალი ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში, რომ საჯარო ჩაურთავენ კომპიუტერს, აცემინებენ 8-9 კითხვაზე პასუხს, მერე უნდა გაუთიშონ, მერე უნდა ჩაურთონ თავიდან და გაცემული პასუხები კი არ უნდა ჩაუთვალონ, ერთი პასუხის ნაცვლად არც ერთი არ უნდა დაუწერო და პასუხების ნაცვლად წერტილები უნდა დაუწერო. გრაფიკული ნახატები არ უნდა გაუხსნა კიდევ და მეთვალყურემ უნდა უთხრას, შვილო, რამეზე დააკლიკეო.

**— მასწავლებლების გამოცდების შემთხვევაშიც გრანტია გამოყოფილი?**

– დიახ! მასწავლებლები რომ ჩაჩეხეს, მეორე დღეს რომ გრანტი მიიღო მიმინოშვილმა, აუმაღლეს მასწავლებლებს დონე? მასწავლებლებზე საერთოდ, რამე იხარჯება? ამ ადამიანებს ვინმე ხელფასს უმატებს? ამის შემდეგ დაიწყება ეროვნული გამოცდები და აუცილებლად გავაშუქებთ დინამიკას. ზუსტად ვიცი, რომ შარშან საბუნებისმეტყველო საგნებში ფიზიკაში, ქიმიაში და ბიოლოგიაში შერეული სამართლის იურიდიული პირის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს, როგორც რესპუბლიკური მასშტაბით კვლევებს, ასევე ის ჩართულია საერთაშორისო კვლევების ქსელში და, როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის მასშტაბით არის ცუდი შედეგები, ანუ ჩვენი მოსწავლეები აჩვენებენ დაბალ შედეგებსო. მიხვდით? ყველაფერი ნათქვამია. ანუ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა რომ შეაფასეს ეს დასკვნები და, რომ ნახეს დაბალი შედეგი, ისინი ამაში გრანტებს იძლევიან. რასაც უკეთებენ:



**„ეროვნული საგამოცდო ცენტრი მუშაობს იმ მიზნით, რომ მორალურად, ფიზიკურად და ყველანაირად გატეხონ ბავშვები. ვსვამ კითხვას: ამ სახელმწიფოს საერთოდ, პატრონი ჰყავს? რატომ არ ალაგებს მაია მიმინოშვილი ამ პროგრამას? ისევ არეულია“**

*გაგრძელება მერვე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ,,ზოგან ისეთი ხარვეზები ჩანს, რომ ადამიანები დაისჯებიან კიდეც“



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ საარჩევნო პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე ისაუბრა და განაცხადა:

„ეს არჩევნები, ალბათ, უპრეცედენტოდ ობიექტურად ჩატარდა. ერთი საპრეზიდენტო არჩევნები იყო ძალიან კარგი ნახტომი, ამ მხრივ, მისი გაგრძელებაა ეს არჩევნები. ბუნებრივია, ხარვეზები არსებობდა. სამწუხაროდ, ზოგან ისეთი ხარვეზები ჩანს, რომ ადამიანები დაისჯებიან კიდეც. მე ვერ ვხედავ ამ წუთში იმის აუცილებლობას, რომ სადმე ხმების გადათვლაა საჭირო, ამაზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. იმ ოპოზიციური ძალების მიერ, რომლებმაც ვერაფერი ხმები ვერ მოაგროვეს, საუბარი, რომ სადღაც გაყალბდა და სერიოზულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი და გადაბრალება თავიანთი ჩავარდნის საარჩევნო სისტემაზე, გასაგებია“, – განაცხადა საგანელიძემ.

მისივე თქმით, თუ რომელიმე უბანზე იყო დაფიქსირებული სერიოზული ხარვეზები, ის მხარს დაუჭერს ხმების გადათვლას ან იმ უბანზე არჩევნების ხელმეორედ ჩატარებას, მაგრამ ეს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა გადაწყვიტოს.

საგანელიძე ასევე გამოეხმაურა „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, კახა კუკავას ბრალდებას იმის თაობაზე, რომ მის კოალიციას ახალქალაქში 3 ათასი ხმა დააკლეს. „ძალიან ვწუხვარ, რომ კახა კუკავამ, მისმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ მოაგროვა ის ხმები, რომელიც მას დააკმაყოფილებდა და მისცემდა საშუალებას, ეამაყა თავისი შედეგით. პრობლემა, რა თქმა უნდა, ჰქონდათ, მაგრამ მოდი, ყველაფერს ნუ გადააბრალებენ არჩევნების ხარვეზებით ჩატარებას“, – აღნიშნა დავით საგანელიძემ. (ნიუპოსტი)

## საქართველოსა და სომხეთის პრეზიდენტები კონცერტს დაესწრნენ



სომხეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, რუსთაველის თეატრში საიათნოვას 300 წლისთავისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტი გაიმართა. მარგველაშვილმა სერჟ სარქისიანსა და სომხური დელეგაციის წევრებს საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად უმასპინძლა. სტუმრების წინაშე საიათნოვას შემოქმედება ცნობილმა ქართველმა და სომეხმა შემსრულებლებმა წარმოადგინეს. (ინტერპრესნიუსი)

## ტყის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებების მონიტორინგი განხორციელდა



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ სამცხე-ჯავახეთში ტყის მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებების მონიტორინგი განახორციელა.

სამინისტროს ცნობით, პირველი მონიტორინგის შედეგებით, დაჭერილი და განადგურებულია 1 მილიონი მავნე მწერი, რის შედეგადაც შეჩერდება წიწვოვანი კორომების ხმობის ინტენსივობა და შენარჩუნდება უნიკალური წიწვოვანი ტყის მასივები.

სამცხე-ჯავახეთში წიწვოვანი კორომების მასობრივი ხმობა 2011 წელს გამოვლინდა. სატყეო პათოლოგიური გამოკვლევის შედეგად დადგინდა ძირითადი ზიანის მომტანი მავნებელი მწერი-მბეჭდავი ქერქიჭამია. სპეციალისტების რეკომენდაციების გათვალისწინებით დაიგეგმა ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებები. მათ შორის: ფერომონების (მწერსაჭერების განთავსება), მონიტორინგი და სანიტარიული ჭრების განხორციელება. (ინტერპრესნიუსი)

## პარლამენტის საგაზაფხულო სესია 27 ივნისს დაიხურება

საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესია 27 ივნისს, ბიუროს სხდომით დაიხურება. შესაბამისი გადაწყვეტილება ბიუროს წევრებმა მიიღეს.

პარლამენტის რეგლამენტის გათვალისწინებით, საგაზაფხულო სესია თებერვლის პირველ სამშაბათს იხსნება და ივნისის ბოლო პარასკევს იხურება. შესაბამისად, სესიის დახურვა 27 ივნისს მოხდება.

ამასთანავე, ბიუროს გადაწყვეტილებით, არჩევნების მეორე ტურის გამო, საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე დარჩენილ დროში პარლამენტის პლენარული სხდომები აღარ გაიმართება. ივლისში კი პარლამენტის რიგგარეშე სხდომები ჩატარდება. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*



„ამას აღშფოთება აღარ უნდა, ბატონო ბიძინა, ამ ხალხს მოატანინეთ სახლებიდან ის ფული უკან! ძალიან ბევრი და კარგი ნივთები აქვთ და შეელიონ და გაყიდონ ის ნივთები! ფული უკან მოიტანონ, ის ცხრა მილიონი და ამ ბავშვებს მოხმარდეს!“

იყო ისეთი საკითხები, იშვიათმა ბავშვმა აიღო უმაღლესი ქულა. აბსოლუტურად არაპროგრამული და თან ურთულესი მასალა იყო შეტანილი. რატომ მოხდა ასე? ვის სჭირდებოდა ეს? იმიტომ, რომ არ დაიწეროს მაღალი ნიშნები, არ დაიწეროს მაღალი ქულები და ვერ ვიგებ, ეს ხელისუფლება რატომ იღებს ამხელა პრემიებს? ივანიშვილია ამ მთავრობის ფაქტიური ხელმძღვანელი და როგორც ცნობილია, აღშფოთებულია ხომ ამ ყველაფრით? ამას აღშფოთება აღარ უნდა, ბატონო ბიძინა, ამ ხალხს მოატანინეთ სახლებიდან ის ფული უკან! ძალიან ბევრი და კარგი ნივთები აქვთ და შეელიონ და გაყიდონ ის ნივთები! ფული უკან მოიტანონ, ის ცხრა მილიონი და ამ ბავშვებს მოხმარდეს! ნუ ჩეხავენ ამ ბავშვებს და თავი დაანებონ! ამ ბავშვების ცოდნაა დასაფინანსებელი! ამათ ჯერ ფული უნდა მოატანინო და მერე ის დეპარტამენტების ხელმძღვანელები და მაღალი თანამდებობების პირები სამსახურებიდან უნდა გაყარო. ფინანსური პოლიცია და პროკურატურა უნდა შეუშვა და მერე ვინც მოვა ხელისუფლებაში, იმისთვის სამაგალითო იქნება ეს ყველაფერი. ფული უნდათ სკოლებსა და ბავშვებს! პრემიებსა და მივლინებებს – არა! მე საკმაოდ დიდი თანამდებობა მქონდა, მაგრამ იმ მანქანით არ დავდიოდი, რომელიც, წესით, მეკუთვნოდა. იმ ქვეყანაში, სადაც ბავშვები შიმშილით გეხოცებიან და ვინც არის, იმას განათლება საკმარისი არ აქვს, როცა სამუშაო ადგილები არ არის, როგორ შეიძლება ამ ქვეყნის მინისტრებმა და მთავრობამ პრემიები მიიღოს?



„ასეთი გაუმართავი სისტემის დროს რომ მინიმალურია კომპეტენციის ზღვარი, არ შეეძლო რეაგირება მინისტრს? გამოაქვეყნეს საერთოდ ჩაჭრილების სია? მიმინოშვილს უნდა ჩაეტარებინა დიდი პრესკონფერენცია და ჩაატარა?“

**— გამოქვეყნდა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ინფორმაცია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მიღებული მონაცემების მიხედვით და იქიდან ვიგებთ, რომ მაია მიმინოშვილმა 2013 წელს მიიღო პრემიის სახით 37 350 ლარი, ცენტრის თანამშრომლებზე დარიცხულმა პრემიების რაოდენობამ მიაღწია 2 151 687 ლარს. ცენტრი აცხადებს, რომ არც ერთი თეთრი ბიუჯეტიდან არ იხარჯება ცენტრის თანამშრომლების პრემიებზე, რადგანაც ცენტრს აქვს კერძო შემოსავალიო.**

– მე გეტყვით, საიდან აქვთ მაგათ შემოსავლები, 50-თეთრიან წიგნსა თუ ბროშურას 12 ლარად ყიდიან და თავიანთ უხარისხო ტესტებს რომ ჩხაპნიან, აქედან აქვთ შემოსავლები. საერთოდ უნდა შეიზღუდოს ეს გამოცდამანია. არსად ამდენი გამოცდა არ ტარდება და რა საჭიროა? გამოცდები უნდა ჩატარდეს უნივერსიტეტებში და არ არის ყველა გამოცდა ეროვნული ცენტრის სატარებელი. ამერიკაში ვინ უყურებს ეროვნულ გამოცდებს? იქ მთავარია, რა გაქვს გაკეთებული 12 წელი სკოლაში, როგორი ატესტატი გაქვს და გამოცდას უნივერსიტეტში გიტარებენ. ვიყოთ ობიექტურები: ბოლოს სააკაშვილს უნდოდა, თანამედროვე სისტემა დაენერგა, ეგ ქალი (მიმინოშვილი. – თ.ო.) გაუშვა და ამათ ეს ქალი უპირობოდ მოატრიალეს. დაწერეთ დიდი ასოებით: უნდა შეიქმნას მუდმივმოქმედი კომისია და მან უნდა აკონტროლოს მიმინოშვილის სისტემა, ამ კომისიამ უნდა შეამოწმოს ტესტები და ისე უნდა გავიდეს ქსელში.

**კომენტარისთვის დავუკავშირდით გამოცდების ეროვნული ცენტრს და გაგაცნობთ პრესცენტრის კომენტარს:**

„ქალბატონ მანანა ნიკოლაიშვილის არც ერთი განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, უზუსტობებია მის ყველა განცხადებაში, გარდა ამისა, არ ვიცით, ეს ქალბატონი უბრალოდ ცდება, თუ მიზანმიმართულად აკეთებს ამას ცენტრის თანამშრომლების კომპრომეტირების მიზნით. მას შეცდომაში შეჰყავს მოსწავლეები, აბიტურიენტები და მათი მშობლები, ეს ჩანს იქიდან, რომ უბრალოდ ვერ ერკვევა იმ სისტემაში, რასაც ჰქვია კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირება. ჩვენ არაერთხელ გამოვაქვეყნეთ ეს ინფორმაცია და მისი ცილისმწამებლური განცხადებები არანაირ სიმართლეს არ შეიცავს“.

*თამარ ოქრუაშვილი*

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რიკოთის უღელტეხილთან დაკავშირებით რეკომენდაციებს შეიმუშავებენ




გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრ ხათუნა გოგალაძის განცხადებით, გეოლოგებმა რიკოთის უღელტეხილის 146-ე კილომეტრზე არსებული მდგომარეობის წინასწარი შეფასება უკვე მოახდინეს.

„გაწმენდითი სამუშაოები გრძელდება. პროცესში პირველივე დღიდან ჩაერთვნენ გეოლოგები. ახლა მდგომარეობის შეფასება და რისკების დამუშავება მიმდინარეობს. უკვე ამის შემდეგ მოვამზადებთ რეკომენდაციებს, რა უნდა გაკეთდეს და რა საინჟინრო გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს იმისთვის, რომ ეს მონაკვეთი უსაფრთხო გახდეს“, – აღნიშნა გარემოს დაცვის მინისტრმა.

რიკოთის უღელტეხილის 146-ე კილომეტრზე 16 ივნისს მეწყერი განმეორებით ჩამოწვა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევთან 3 ათასი კუბური მეტრი მოცულობის მიწისა და კლდის მასის ჩამოშლამ მთლიანად გადაკეტა საავტომობილო გზის სავალი ნაწილი. აღნიშნულ მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. ავტოტრანსპორტის მოძრაობა გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზაზე გადაერთვება. (ინტერპრესნიუსი)

## კუდ-ის შტატგარეშედ მომუშავეთა ანაზღაურება შტატიან თანამშრომელთა ანაზღაურებას აღემატებოდა



2011 წლისა და 2012 წლის 11 თვის მონაცემებით, შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის შტატგარეშედ მომუშავეთა საშუალო წლიური შრომის ანაზღაურება შტატიან თანამშრომელთა ანაზღაურებას აღემატებოდა. ამის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2013 წლის საქმიანობის ანგარიშში საუბრობს და მიუთითებს, რომ ეს კანონს ეწინააღმდეგებოდა. დოკუმენტში ასევე საუბარია მაღალ პრემიებზეც და როგორც აუდიტის სამსახური აცხადებს, უცნობია, რა კონკრეტული დამსახურებებისთვის გამოიყენებოდა წახალისების ეს ფორმა.

კერძოდ, შსს-ს კუდ-ის დეპარტამენტში განხორციელებული აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ 2011 წლის განმავლობაში პრემიებისთვის გაწეულია 3 მილიონ 859 700 ლარის ხარჯი, ხოლო 2012 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით 2 მილიონ 626 400 ლარის ხარჯი.

2011 წლის განმავლობაში კუდ-ის დეპარტამენტის დირექტორის შრომის ანაზღაურების სახით დარიცხულმა თანხამ 104 200 ლარი შეადგინა, პრემიის სახით კი, მინისტრის ბრძანებების საფუძველზე, მას 66 700 ლარი დაერიცხა. ამასთანავე, ნოემბერში დირექტორის ერთჯერადად მიღებულმა პრემიამ 14 500 ლარი შეადგინა, ხოლო მოადგილეების 2011 წლის წლიური შრომის ანაზღაურება 65 800 ლარიდან 75 500 ლარამდე მერყეობს (მათ შორის არის პრემია 29 300 ლარიდან 39 900 ლარამდე).

ამავე დოკუმენტის თანახმად, შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსს 2012 წლის აგვისტოში პრემიის სახით 18 750 ათასი ლარი დაერიცხა. სულ სამი თვის განმავლობაში – ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით პრემიის სახით მიღებული აქვს 31 250 ლარი.

კონსტიტუციის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსს აგვისტოში პრემიის სახით მიღებული აქვს 18 750 ლარი. სულ ოთხი თვის განმავლობაში – ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით პრემიის სახით – 39 500 ლარი.

„ბრძანებებში ზოგჯერ მითითებულია ზოგადად „სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისთვის“, თუმცა უცნობია, რა კონკრეტული დამსახურებებისთვის გამოიყენებოდა წახალისების ზემოაღნიშნული ფორმა“, – აცხადებს აუდიტის სამსახური. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აუდიტმა შსს-ს მიერ მოოქროვილი მაჯის საათების არამიზნობრივი შესყიდვის ფაქტი გამოავლინა



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2013 წლის საქმიანობის ამსახველი ანგარიშით, რომელიც პარლამენტს უკვე წარედგინა, ირკვევა, რომ 2012 წელს, შს სამინისტრომ „თბილავიამშენისგან“ 206 600 ლარის ღირებულების მოოქროვილი და მოვერცხლილი სასაჩუქრე მაჯის საათები შეისყიდა, რისი აუცილებლობაც დასაბუთებული არ არის.

„შესყიდვა დაგეგმილი არ ყოფილა და მხოლოდ 13 აგვისტოს იქნა შეტანილი აღნიშნული ცვლილება შესყიდვების გეგმაში, მაშინ როდესაც ხელშეკრულება 14 აგვისტოს გაფორმდა. 2013 წლის 1-ელი აპრილის მდგომარეობით, შესყიდული საქონლის 96% ისევ გამოუყენებელია და საწყობში ინახება“, – ნათქვამია დასკვნაში.

დაუსაბუთებელი შესყიდვის კიდევ ერთი ფაქტი შსს-ს მიერ ე.წ. სადროშეების შეძენას ეხება. 2011 წლის 27 აპრილს გამოცხადდა ტენდერი სადროშეების შესყიდვაზე (40 ცალი – 9-მეტრიანი და 20 ცალი – 6-მეტრიანი), სადაც ბაზრის გამოკვლევის გარეშე შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად 106 ათასი ლარი განისაზღვრა. ტენდერში ერთადერთმა მონაწილე „ევროპლანტ ჯორჯიამ“ გაიმარჯვა, რომლის მიერ მიწოდებულ საქონელზე ფასნამატმა, აუდიტის სამსახურის ცნობით, 111% (46 ათასს 400 ლარი) შეადგინა.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, სადროშეებიდან, ორი წლის მანძილზე, მხოლოდ ორი ცალია გამოყენებული. (ნიუპოსტი)

## ყველაზე უცენზურო წარწერა საარჩევნო ბიულეტენზე



## გირგვლიანის საქმეზე მომდევნო პროცესი 20 ივლისს გაიმართება

საქალაქო სასამართლომ გირგვლიანის საქმეზე შემდგომ პროცესზე, სავარაუდოდ, 2006 წელს გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე გასამართლებულ კუდ-ის ყოფილ თანამშრომლებს დაკითხავს.

მომდევნო პროცესი 20 ივლისს, 16:00 საათზეა ჩანიშნული. როგორც საქმის პროკურორმა, ირაკლი ნადარეიშვილმა განაცხადა, პროკურატურას კიდევ რამდენიმე საკვანძო მოწმე დარჩა დასაკითხი, მათ შორის, კუდ-ის ყოფილი თანამშრომლები, ვინც თავდაპირველად გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე დააკავეს.

17 ივნისს ჩვენება ბრალდების მხარის ხუთმა მოწმემ მისცა. მათ შორის, №1 იზოლატორის თანამშრომლებმა, რომლებიც გირგვლიანის მკვლელობისთვის დაკავებულ პირებს ზედამხედველობდნენ 2006 წელს.

როგორც პროკურორმა ირაკლი ნადარეიშვილმა აღნიშნა, დაკითხულმა მოწმეებმა დაადასტურეს, რომ კუდ-ის ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც ყოფილი ხელისუფლების პირობებში ამ საქმეზე დააკავეს, პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და სურვილისამებრ შეეძლოთ საკნის დატოვება. მისივე თქმით, მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ყოფილ კუდელებთან შსს-ს მაღალჩინოსნები შედიოდნენ. მათ შორის ვანო მერაბიშვილი ქეიფობდა იზოლატორში კუდ-ელებისთვის გაშლილ სუფრებზე. (ინტერპრესნიუსი)



„სითი პარკის“ საკითხის შესწავლა ფუნდამენტურად. დოკუმენტების გასაიდუმლოებული ნაწილის გადმოცემასაც ვითხოვდი. ამ საკითხში ბევრი რამეა შესასწავლი და გასარკვევი, ყველაფერს საფუძვლიანად შევისწავლით და მივხედავთ.

**— თქვენი დევიზი იყო „ერთად ვიზრუნოთ თბილისზე“. მოხვედით ხელისუფლებაში, საიდან და რით იწყებთ თბილისელებზე ზრუნვას?**

– დავიწყებთ იმით, რაც არის დაკავშირებული „თბილისის წყალთან“, უამრავ ტენდერთან, რომელიც განხორციელდა, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან, ანუ ყველაფერი იმით დავიწყებთ, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით და მიგვაჩნდა, რომ კეთ-

იმისა, რომ დარღვევები აღარ მოხდება.

**— გასაგებია, მაგრამ როგორ უნდა დაგიჯეროთ ხალხმა, როცა ვხედავთ, რომ საკრებულოს თავმჯდომარემ 350%-ით მეტი პრემია გამოიწერა? ამაზე რას მეტყვით?**

– ბოლო სამუშაო თვეს მოხდა წახალისება, კოლექტიურად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, მას ესწრებოდნენ უმრავლესობაც, უმცირესობაც, ფრაქციები. რატომღაც მოხდა ის, რომ ჩვენმა ოპონენტებმა გადაწყვეტილების ერთი ნაწილი გაასაჯაროეს.

**— მეორე ნაწილი რა იყო?**

– ყველა თანამშრომელმა აიღო ეს პრემია, დამლაგებლის ჩათვლით. 100% აიღეს საკრებულოს წევრებმა და გადავრიცხეთ ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის. ძალიან მერიდება ამის თქმა, მაგრამ მკითხეთ, ამიტომ გითხარით. ვერ ვიყვირებდი, ასე გავაკეთეთ-მეთქი. 2 დღის წინ მივიღეთ გადაწყვეტილება. ძალიან მეუხერხულება ამის თქმა...

**— ძირითად საკითხს დავუბრუნდეთ, როგორ აპირებთ თბილისელებზე ზრუნვას?**

რომელიც წლების მანძილზე ანგრევდა ქვეყანას, თანამშრომლობის დროს საჭიროა სიფრთხილე. მათ მიმართ უამრავი შეკითხვა არსებობს და ამას ვერ გაექცევიან. თბილისთან დაკავშირებით მე მაქვს უამრავი შეკითხვა, განსაკუთრებით მათთან, ვინც ახლა შემოდიან საკრებულოში. ეს ადამიანები მოქმედი თანამდებობის პირები იყვნენ იმ პერიოდში, როცა „ნაცმოძრაობა“ მართავდა თბილისს და ის შეცდომებიც ამ ადამიანების სახელთანაა დაკავშირებული. თუმცა, ის წინადადებები, რომელიც ჩვენს ქალაქს წაადგება, რა თქმა უნდა, განხილული იქნება, მაგრამ, როცა რამეს წამოაყენებენ, მე ბუნებრივად დავსვამ შეკითხვას, თქვენ როცა იყავით ხელისუფლებაში, მაშინ რატომ არ აკეთებდით ამას-თქო.

**— მერიის ზოგიერთ თანამშრომელზე კორუფციული გარიგებებისა და მაქინაციების გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრას და დასჯას მოითხოვდით. ეს მოთხოვნა ძალაში რჩება?**

– რა თქმა უნდა, როგორც კი გვექნება იმის ბერკეტი, რომ შევიდეთ მერიაში, შესაბამის

# თბილისის ახალი საკრებულო პირველ „დარტყმებს“ „სითი პარკზე“ და „თბილისის წყალზე“ ამზადებს

**„ალიას“ თბილისის საკრებულოს წევრი, ჯაბა სამუშია ესაუბრა:**

**— ბატონო ჯაბა, შტაბის სხდომა გქონდათ და რა საკითხები განიხილეთ, საკრებულო როდის იკრიბება გაირკვა?**

– ჯერ არა, რადგან ეს დამოკიდებულია იმ თარიღზე, როცა მოხდება ცესკოს მიერ საბოლოო ანგარიშის დადება. ის განსაზღვრავს და საბოლოო შედეგს ოფიციალურად დადებს, ამის შემდეგ კანონის თანახმად იწყება თარიღის განსაზღვრა, როცა უნდა იქნას მოწვეული ახალი საკრებულო.

**— ბატონო ჯაბა, როცა წინა საკრებულოში იყავით, ხშირად გითქვამთ, მერიაში ისევ „ნაციონალები“ არიან, თორემ ამ მძარცველ „სითი პარკს“ მოვაშორებდითო. ახლა მერიაც, ალბათ, თქვენი იქნება და რას აპირებთ?**

– საკრებულოს არ აქვს იმის კომპეტენცია, რომ ეს საკითხი გადაწყვიტოს, მაგრამ მერიაში როგორც კი მოვა ახალი ხელმძღვანელობა და საკრებულო დაიწყებს მუშაობას, დაიწყება დებოდა ძალიან ცუდად, ან კეთდებოდა კანონდარღვევით. თავისთავად კარგი იყო, რამე რომ კეთდებოდა, მაგრამ ცუდი იყო ის, რომ სადარბაზოს რემონტზე სამჯერ მეტ ფულს ხარჯავდნენ, ვიდრე საჭირო იყო. კარგია, როცა შემოგყავს სამარშრუტო ტაქსები, მაგრამ ცუდია, როცა ვილაცის კომპანიების ინტერესები იკვეთებოდა.

**— რა გარანტია გვაქვს, რომ იგივეს არ გაიმეორებთ, რასაც „ნაციონალები“ აკეთებდნენ? ჩვეულებრივი ამბავია, მმართველობაში რომ მოდიან, დაპირებები ავიწყდებათ ხოლმე.**

– რატომ იყო მანკიერი პრაქტიკა წინა ხელისუფლების დროს? მერია და საკრებულო ცალ-ცალკე არსებობდა. არც ერთი პროექტი, რომელიც მერიაში ხორციელდებოდა, არ იყო დაკავშირებული საკრებულოსთან. მთავარი ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბებაა. უნდა, ჩაიდოს კონტროლის მექანიზმები. ის, რომ გამგეობებზე, მერიაზე კონტროლი ხდება უკვე საკრებულოს მხრიდან, ეს უკვე არის გარანტი

– პირველი – თითოეული თეთრი, რაც დაიხარჯება, იქნება მიზნობრივი, არავითარი მამაძაღლების ჯიბეში არ დაილექება, არ დაისმება კითხვა, სად წავიდა 50 მილიონი. მეორე არის დავით ნარმანიას ინიციატივა. პირველად იღება მერის კარი. ქალაქის მოსახლეობას შეეძლება კვირაში ერთხელ შეხვდეს მერს და საკრებულოს წევრებს. ამაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. მოსახლეობასთან კომუნიკაცია ექნებათ დეპუტატებსაც.

**— ბატონო ჯაბა, წინა საკრებულოში, უმცირესობაში ყოფნის დროს, ხშირად დაგიწუწუნიათ, კარგი ინიციატივები გაქვს, მაგრამ „ნაციონალები“ გვიბლოკავენო. ახლა უმრავლესობით მოხვედით და „ნაციონალები“ უმცირესობაში არიან. ახლა რას იზამთ, სამაგიეროს გადაუხდით, თუ ითანამშრომლებთ მათთან?**

– ნებისმიერი პოლიტიკური ძალა, რომელიც საქართველოს საკეთილდღეოდ იმუშავებს, ამ ძალებთან ინტენსიური ურთიერთობა გვექნება, მაგრამ იმ პოლიტიკურ ძალასთან,

დოკუმენტაციას ავიღებთ და გიდასტურებთ, ბევრი ადამიანის საქმე მოხვდება პროკურატურის ხელში. კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ ახლა. გამგეობების დონეზეც ბევრი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ზოგიერთი პროექტის მიზანმიმართულობასა და ხარჯთაღრიცხვაზე გვექნება ბევრი კითხვა და მივყვებით ბოლომდე. საზოგადოებას გავაგებინებთ, რატომ ჯდებოდა ერთი კვადრატული მეტრი სადარბაზოში 17 ლარი, როცა მისი რემონტი 6 ლარად შეიძლებოდა?

**— საკრებულოს დეპუტატი გახდა მანანა კობახიძის ძმა, ვისი რეკომენდაციით მოხვდა სიაში?**

– მანანა კობახიძის ძმასთან დაკავშირებით არ ვიცი, ნამდვილად. მე არ ვმონაწილეობდი ამ პროცესებში, მაგრამ როგორც ვიცი, კარგი

*გაგრძელება მეათე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ძიუდოისტებს ახალი, ევროპული სტანდარტის დარბაზი ექნებათ



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები უკვე წლებია ინფრასტრუქტურული პრობლემების წინაშე დგას, რაც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ერთხელ და სამუდამოდ, უნდა მოგვარდეს და თბილისში უნდა გაჩნდეს თანამედროვე სტანდარტების დარბაზი, რომელიც საქართველოში ძიუდოს განვითარების ბაზა გახდება.

დღეისთვის კაპიტალურად რემონტდება დიღომში მდებარე ძიუდოს აკადემია, სადაც 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადება მიმდინარეობს.

„სამინისტრო ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ აღნიშნული დარბაზი, რომელიც მერიის ბალანსზე იმყოფება, სრულად რეაბილიტირდეს და ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ ძიუდოს ფედერაციის მფლობელობაში გადავიდეს“. – აცხადებენ სამინისტროში.

(ინტერპრესნიუსი)

## ვაზიანში Agile Spirit 2014-ის საჩვენებელი წვრთნა გაიმართა



ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე ქართულ-ამერიკული სწავლება Agile Spirit 2014-ის საჩვენებელი წვრთნა გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი, სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ალექსი პეტრიაშვილი და სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო ატაშეები.

„ეს არის პირველი ბრიგადის დონის ქართულ-ამერიკული წვრთნები, როდესაც ჩვენი შტაბის ოფიცრები და ამერიკელები ერთობლივად მართავენ მთელ სამხედრო თეატრს, ბრიგადის დონეზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, 350-მდე საზღვაო ქვეითია ადგილზე, ამ პერიოდში არა მხოლოდ ურთიერთთავსებადობის კუთხით ხდება ნაბიჯის გადადგმა, არამედ, რაც მთავარია, სწორად დაიგეგმოს მთელ თეატრში სავარაუდო საბრძოლო მოქმედებები“, – განაცხადა ალასანიამ და აღნიშნა, რომ ინტენსიური წვრთნები პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად მომავალ წლებშიც ჩატარდება.

რიჩარდ ნორლანდის თქმით: „Agile Spirit“ უკვე რამდენიმე წელია ტარდება, ველოდებით, რომ კვლავ გაგრძელდება, რაც არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი ამერიკის მიერ საქართველოსთვის დახმარების გაწევის, რაც უზრუნველყოფს ქართული ქვედანაყოფებისა და შენაერთების მზადყოფნას ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთობლივი სამსახურისთვის, ნატოს ფარგლებში ავღანეთში წარმოებულ მისიაში. ეს ხელს უწყობს და ზრდის საქართველოს თავდაცვისუნარიანობასაც. ნებისმიერი განვითარებისთვის ეს რელევანტურია თუმცა, რომ დავუბრუნდეთ უკრაინის კითხვას, ამჟამად საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება გადატანილია სიტუაციის განმუხტვაზე“, – განაცხადა ნორლანდმა. (ინტერპრესნიუსი)

## შსს-მ ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის მოქალაქე დააკავა




შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის გამშვებ პუნქტ „ვალეს“ თანამშრომლებმა ვარშავას ინტერპოლის მიერ ძებნილი თურქეთის მოქალაქე, 1953 წელს დაბადებული იბრაჰიმ აკაია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, იბრაჰიმ აკაია პოლონეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ინტერპოლით 2008 წლის 9 აპრილიდან იძებნებოდა. მას ბრალად ედება პოლონეთის სისხლის სამართლის კოდექსის 91-1 მუხლით და 1997 წლის ნარკოტიკების მოხმარების საწინააღმდეგო აქტის 43.1 და მე-3 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, რაც ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობას გულისხმობს. 1999 წლის ოქტომბერში იბრაჰიმ აკაიამ თურქეთის ტერიტორიაზე, სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად, ბაზარზე გაიტანა დიდი ოდენობით ნარკოტიკი, კერძოდ, რამდენიმე კგ ჰეროინი. შემდგომ მან აიძულა სხვა პირი, რომ აღნიშნული ნარკოტიკი წაეღო ჰოლანდიაში. ამ უკანასკნელმა ნარკოტიკები სლოვაკეთიდან ჰოლანდიაში გერმანიის გავლით სპეციალურად ადაპტირებული ავტომანქანით წაიღო. 1999 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან 24 დეკემბრამდე იბრაჰიმ აკაიამ სხვა დაუდგენელ პირებთან ერთად კრაკოვში, ვალცში, აგრეთვე, თურქეთის რესპუბლიკისა და ბულგარეთის ტერიტორიაზე, ბაზარზე 20 კგ ჰეროინი გაიტანა. მან უზრუნველყო ნარკოტიკების თურქეთიდან ბულგარეთში ტრანსპორტირება სხვა პირთა მეშვეობით.

ჩადენილი ქმედებისთვის იბრაჰიმ აკაიას შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით და 6 თვის ვადით. ამჟამად დაკავებული გადაყვანილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ დროებითი მოთავსების იზოლატორში. მის მიმართ კანონით გათვალისწინებული წინასაექსტრადიციო პროცედურები მიმდინარეობს. (ინტერპრესნიუსი)

*მეცხრე გვერდიდან*

იურისტი და პროფესიონალია, ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია.

**— ზურაბ ტყემალაძის ვაჟი ინიშნება საკრებულოს თავმჯდომარედო, ასეა?**

– გულწრფელად გეტყვით, ამის შესახებ არ ვიცი. საკრებულოს მომავალი თავმჯდომარის საკითხი კოალიციის ლიდერისა და პოლიტსაბჭოს გადასაწყვეტია. ვერ დაგისახელებთ ვისზეა საუბარი, მაგრამ გიორგი თუ იქნება, ძალიან კარგი, ის საკრებულოს ღირსეული წევრია და მომავალ საკრებულოშიც გამორჩეული იქნება.

**— წინა საკრებულოს დროს, მოსახლეობა ქუჩაში ხშირად გამოდიოდა, მშენებლობების გამო ხეები და მთელი სკვერები რომ იჩეხებოდა. ჰპირდებით თბილისელებს, რომ ამის გამო აქციების მოწყობა აღარ მოუწევთ?**



„მერიაში როგორც კი მოვა ახალი ხელმძღვანელობა და საკრებულო დაიწყებს მუშაობას, დაიწყება „სითი პარკის“ საკითხის შესწავლა ფუნდამენტურად“




„დავით ნარმანიას ინიციატივით, პირველად იღება მერის კარი. ქალაქის მოსახლეობას შეეძლება კვირაში ერთხელ შეხვდეს მერს და საკრებულოს წევრებს. ამაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია“

– ის, რაც ეხება ეკოლოგიურ მხარეს, ჩვენ გუნდში ვისაუბრეთ უკვე. სკვერი, რომელსაც „ნაციონალებმა“ სტატუსი შეუცვალეს იმიტომ, რომ გაეყიდათ, ჩვენ საკრებულოს სხდომაზე დავბლოკეთ. ეშველება ამ საკითხს. როგორც კი უმრავლესობა შევიკრიბებით, ყველა ხელშეკრულების განხილვა მოხდება. შეიქმნება საკონსულტაციო ჯგუფი და ყველაფერი გასაჯაროვდება. მე არ ვარ შენების წინააღმდეგი, მაგრამ ეს არ მოხდება ტყეების გაჩეხის ხარჯზე. ინიციატივა მილიონი ხის თაობაზე მავანმა შაყირის თემად აქცია, მაგრამ შეგახსენებთ მისი უწმინდესობის ინიციატივას. მილიონი ამომრჩეველი ცხოვრობს თბილისში. ამიტომ ვისაც აქვს სურვილი, რომ ეს თემა საშაყიროდ აქციოს, ცოტა დაფიქრდეს.

**ჟანა ასანიძე**
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვოლსკი ნანუაშვილის განცხადებას გამოეხმაურა



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გია ვოლსკი უჩა ნანუაშვილის განცხადებას გამოეხმაურა.

„დიდი განსხვავებაა ბრალდებებში, მათ კანონიერებაში და მთელი ნიუანსებია, რომელზეც კონფლიქტურ სიტუაციებში ურთიერთობების სპეციალისტები წარმართავენ მუშაობას, მათ შორის ჟენევის ფორმატში. ასე რომ, მეტი ექსპერტიზა სჭირდება ამ საკითხს, უჩამ სწორი მინიშნებები გააკეთა. ამაზეც და ასევე, ბევრი სხვა ჰუმანიტარულ თემებია, რომელზე მოლაპარაკებები საჭიროც არის და უნდა გაგრძელდეს კიდეც“, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ინიციატივით გამოდის, რომ საქართველოს სახელმწიფო უწყებებმა მოლაპარაკებები ოკუპირებულ რეგიონებში მოქმედი რეჟიმების წარმომადგენლებთან გამართონ. (რეპორტიორი)

## „ყველა ტიპის რისკებზე გვაქვს ანალიზი გაკეთებული“



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის, ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, ყველა ტიპის რისკებზე აქვთ ანალიზი:

„პროვოკაციიდან დაწყებული და ეკონომიკური გამოწვევებით დამთავრებული ყველა ტიპის რისკებზე გვაქვს ანალიზი გაკეთებული. ვმუშაობთ ძალიან ინტენსიურად ჩვენს ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან ერთად, რათა იმ შემთხვევაში, თუ 27 ივნისის შემდეგ ამას მოჰყვა დამატებით ან სანქციების შემოღება, ან სატარიფო პოლიტიკის გადახედვა, მაშინ ჩვენი დასავლელი პარტნიორები მზად იქნებიან, მხარში ამოუდგნენ ჩვენს ქვეყანას. ასეთი პრეცედენტები არსებობს რეალურად მოლდოვასთან მიმართებაში და სხვა ტიპის მექანიზმები შეიძლება საქართველოსთან მიმართებაშიც იყოს გამოყენებული. დღეს რეალურად ჩვენ ვუყურებთ სრულიად ახალ, 900-მილიონიან ბაზარს, სადაც 145 მილიონი არის რუსეთის წილი, 500-ზე მეტია ევროპის წილი. სწორედ ეს ემსახურება, რომ მოკლე დროში მოხდეს პროდუქციის ხარისხის ამაღლება და შესაძლებელი გახდეს ჩვენი პროდუქციის გატანა“, – განაცხადა პეტრიაშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ცესკო განცხადებას ავრცელებს



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ახალქალაქსა და მარტვილში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„17 ივნისს, №40 ახალქალაქისა და №65 მარტვილის საოლქო საარჩევნო კომისიებში სხდომების მიმდინარეობისას, რომლებზეც საჩივრები განიხილებოდა, შეიჭრნენ საარჩევნო სუბიექტის „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ წარმომადგენლები, ხელი შეუშალეს კომისიის საქმიანობას და მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა კომისიის წევრებს. ორივე შემთხვევაში სიტუაციის განმუხტვის მიზნით აუცილებელი გახდა საპატრულო პოლიციის გამოძახება.

დაუშვებელია საარჩევნო სუბიექტების მხრიდან საარჩევნო ადმინისტრაციასა და მის გადაწყვეტილებებზე ძალადობრივი ფორმით ზეგავლენის მოხდენა. ცესკო კიდევ ერთხელ მოუწოდებს საარჩევნო სუბიექტებს, თავი შეიკავონ მსგავსი ქმედებებისგან და არ გასცდნენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს“. – ნათქვამია განცხადებაში. (რეპორტიორი)

## დათვლისას მელიას შეცდომით — 300, ინაშვილს კი 75 ხმა დააკლეს



თბილისის მერობის ორი კანდიდატის საბოლოო შედეგებში ცვლილებები შედის. არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ იმ უზუსტობებს აქვეყნებს, რომლებიც ნიკა მელიასა და ირმა ინაშვილისთვის ხმების დაკლებას ეხება.

მათი მონაცემებით, ოქმების დაჯამების დროს ყოფილი სახელისუფლებო პარტიის კანდიდატს – 300, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატს კი 75 ხმა დააკლდა.

არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართვისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შეტანილი საჩივრის შემდეგ უზუსტობები უკვე გაასწორა ცესკო-მ, სადაც მომხდარს მექანიკური შეცდომით ხსნიან. (რეპორტიორი)

## „მხარდაჭერა მეორე ტურშიც დადასტურდება“



განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის განცხადებით, არჩევნების სამართლიანობა საერთაშორისო დამკვირვებლებმაც დაადასტურეს.

„არჩევნებმა ნათლად აჩვენა, რომ პროცესი ყოველგვარი წნეხისა და იმ მანკიერი პრაქტიკის გარეშე წარიმართა, რასაც წინა ხელისუფლების პირობებში ყოველ არჩევნებზე ვადევნებდით თვალს. არჩევნების სამართლიანობა საერთაშორისო დამკვირვებლებმაც დაადასტურეს. არჩევნები თვითმმართველობების გაძლიერებისკენ გადადგმულ ისტორიულ ნაბიჯად შეაფასეს. თვითმმართველობის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებლად გაიმარჯვა. ყველგან, ქალაქებში, რაიონებში, თუ სოფლებში კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ამომრჩეველმა მხარი უპირობოდ დაუჭირა. ეს მხარდაჭერა მეორე ტურში კიდევ ერთხელ დადასტურდება. ამისთვის მოსახლეობის აქტიურობაა საჭირო, რათა არავის მიეცეს საშუალება, უკან დაგვაბრუნოს“, – განაცხადა სანიკიძემ. (რეპორტიორი)

## მარნეულის საოლქო კომისიამ არც ერთი საჩივარი არ დააკმაყოფილა



მარნეულის №22 საოლქო საარჩევნო კომისიაში 11 საჩივარი განიხილეს, აქედან ორი საჩივარი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მიერ იყო შეტანილი, რამდენიმე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „მრავალეროვანი საქართველოს“ და ასევე, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ მიერ.

„ნაციონალური მოძრაობა“ აღნიშნული საჩივრებით მოითხოვდა მარნეულში 15 საარჩევნო უბანზე არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას. თუმცა სხდომის თავმჯდომარემ და საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრებმა არც ერთ საარჩევნო უბანზე არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას მხარი არ დაუჭირეს.

როგორც სხდომის დასრულებისას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ხათუნა გოგორიშვილმა განაცხადა, სხდომის დაწყებამდე მან ძალიან კარგად იცოდა, რომ მარნეულის საოლქო-საარჩევნო კომისია არ დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნას უბნების შედეგების გადათვლასა და თხუთმეტივე უბანზე არჩევნების შედეგების გაუქმებაზე. სხდომა ხუთ საათს გაგრძელდა და არც ერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ხათუნა გოგორიშვილის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ მარნეულის საოლქო-საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებს.

მარნეულის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის იაკობ ასანიძის განცხადებით, არც ერთი საჩივარი არ იყო არგუმენტირებული და სწორედ აქედან გამომდინარე, საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებმა ასევე მოითხოვეს №41 საარჩევნო უბანზე გადაღებული ვიდეომასალის დემონსტრირება, თუმცა, მარნეულის საოლქოს თავმჯდომარემ და წევრებმა უარი განაცხადეს სხდომის მიმდინარეობისას აღნიშნული ვიდეომასალის ნახვაზე. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# ვის შეხვდა და რას დაპირდნენ მოროშკინას სტრასბურგში

**„ალია“ ლალი მოროშკინას საფრანგეთში დაუკავშირდა:**

**— ლალი, რა ინფორმაციები ჩაიტანე და ვის შეხვდი?**

– სტრასბურგში ვხვდები ადამიანის უფლებათა კომისრის, ნილს მიუჟენექსის წარმომადგენელს და ბიუროს ხელმძღვანელს, ქალბატონ ქრისტინ მარტიროსიანს. მან თავად გამოთქვა ინტერესი, რომ ეს შეხვედრა შემდგარიყო, გაცნობოდა იმ სამართალდარღვევებს, რასაც ადგილი აქვს დღევანდელ სასჯელაღსრულების სისტემაში. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრების ორგანიზება გიორგი ფოფხაძის დამსახურებაა და ჩვენ ერთად ვმართავდით შეხვედრებს. ევროპა ძალიან ყურადღებით ადევნებს თვალყურს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. განსაკუთრებით კი პენიტენციურ სისტემაში გატარებულ რეფორმებს, რაც ნამდვილად იყო ჩვენი საამაყო მხარე 2013 წლის დეკემბრამდე. სანამ სისტემაააყირავა დიმიტრი დარბაისელმა. მე პირადად მოვითხოვ მის სამართლებრივ დასჯას. ვფიქრობ, სტრასბურგი ამაში დამეხმარება.

ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო უმაღლესი კომისრის ოფისში. განვიხილეთ ვანო მერაბიშვილის სავარაუდო გაყვანა ციხის ტერიტორიიდან, რაზეც ადეკვატური პასუხი არავის გაუცია, ფარტენაძის მკვლელობა, აზარტული თამაშების ზღვარის გაზრდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, არაადეკვატური პრემიების გაცემა სისტემაში და ასევე, სისხლის სამართლის დამნაშავეების დაწინაურება. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, კარგად იცოდნენ დარბაისელის პერსონის ყველა დეტალი, მათ შორის მისი ნარკოდამოკიდებულება, ციხის ტერიტორიაზე მკვლელობები... სრული გაუგებრობა ჰქონდათ იმ საკითხთან მიმართებაში, რომ დაუსაბუთებელი პრემიებისა და გახმაურებული მკვლელობების მერე არ დაისაჯა დარბაისელი.

**— ყველაზე მეტად რით დაინტერესდნენ?**

– იმით, თუ რატომ არ არიან დასჯილი დამნაშავეები და რატომ არ მოხდა სამართლიანობის აღდგენა... მივაწოდეთ საკმარისი ინფორმაცია. ძალიან გამიხარდა, რომ უცხოელებს გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვთ, ვიდრე წარმომედგინა, დააფიქსირეს უკმაყოფილება იმ პროცესებთან მიმართებაში, რაც ზოგადად ძალოვან სტრუქტურებშია. მოქალაქის შეტანილ განცხადებაზე პოლიციაში არანაირი რეაგირება არ ხდება, თუ შენი, როგორც ოფიციალური პირის განცხადება უგულებელყოფილი იყო, რას უნდა ელოდონ საქართველოს რიგითი მოქალაქეებიო.

**— ბაჩო ახალაიათი ხომ არ დაინტერესებულან?**

– ერთადერთხელ ახსენეს ახალაია, როდესაც შეადარეს დარბაისელის მმართველობის პერიოდი ახალაიას პერიოდს. უფრო მერაბიშვილზე ჰქონდათ აქცენტი, თქვეს, რომ გამოძიება უნდა დაიწყოს პროკურატურამ და არ შემოიფარგლოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შიდა მოკვლევით. წაშლილი კამერების ვერსია მათთვის ბუნდოვანი და მიუღებელია.

24 ივნისს უჩა ნანუაშვილთან აქვთ შეხვედრა და შემდეგ რეკომენდაცია შემუშავდება. თუ ეს რეკომენდაციები არ შესრულდება, სანქციებია მოსალოდნელი, რაც ძალიან გაგვიფუჭებს სიტუაციას ევროპასთან დასაახლოებლად.

**— რა სახის სანქციებზეა საუბარი, ხომ არ უთქვამთ?**

– ჯერ ერთი, საქართველოზე წლიურ ანგარიშში უარყოფითი დასკვნა, ეს უკვე ნიშნავს კრახს. თუ არ დალაგდა ციხეები და არ ჩამოვიდა პატიმართა რაოდენობა 10%-იან ნიშნულამდე, საუბარიც არ იქნება ევროპასთან დაახლოებაზე. უცხოელებმა მითხრეს, თუ თქვენ თვლით, რომ ამ ხელისუფლების პირობებშიც 11 000-ზე მეტი პატიმარი უნდა გყავდეთ და ეს ციფრი მზარდია, მაშინ რომელ გამარტივებულ სავიზო რეჟიმზეა ლაპარაკი, მოსახლეობაა მიდრეკილი კრიმინალისკენ თუ მთავრობაა უნიათოო?

პენიტენციური სისტემა სახელმწიფო სახელმწიფოშია. ევროპელებმა თქვეს, რომ არ დაუშვებენ, საქართველოში ფიქსირდებოდეს ზღვარგადასული აზარტული თამაშები, რასაც ქუჩებში ყაჩაღობა მოჰყვა, ასევე კორუფცია ელიტარულ დონეზე, წამალდამოკიდებული ჩინოვნიკები, სისხლის სამართლის დამნაშავეები თანამდებობებზე... ამ ყველაფერს ხელისუფლებამ დროულად უნდა მიხედოსო.

**— ხელისუფლებაზე რა თქვეს?**

– მათ იკითხეს, პრემიერის პოზიცია როგორიაო? მე ვუთხარი რაც იყო, რომ მან „ვაჟკაცური“ უწოდა დარბაისელის წასვლას-მეთქი, რაც მათ დამნაშავის წახალისებად აღიქვეს. ამიტომ ციხე და სისტემა რჩება ლაკმუსის ქაღალდად ჩვენს ურთიერთობაში ევროპასთან. მოკლედ, ევროპელებმა დაასკვნეს, რომ სახარბიელო სურათი არ არის. მე მექნება მოლაპარაკების მეორე რაუნდი, სადაც მათ მთხოვეს, ჩამოვაყალიბო ჩემი ხედვები. შესაძლოა, მე აქ დავიწყო საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების მონიტორინგზე მუშაობა და კონსულტაციები, კიდევ მაქვს შეხვედრები და ვნახოთ, რას იტყვიან ჩვენი ევროპელი პარტნიორები.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პარლამენტი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებას ივლისში გეგმავს



პარლამენტის ბიუროს სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების რატიფიცირებას საქართველოს პარლამენტი ივლისში გეგმავს.

უსუფაშვილის თქმით, ხელშეკრულების საკომიტეტო განხილვა და პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირება უაღრესად საშური საქმეა, ამიტომ ეს მოხდება ივლისის რიგგარეშე სხდომების ფარგლებში. (ნიუპოსტი)

## ჯოზეფ ქეის დაკითხავენ



უგულავასა და კეზერაშვილის წინააღმდეგ, რიყის ტერიტორიისა და „ტელეიმედის“ გასხვისების საქმის მთავარ მოწმეს, ჯოზეფ ქეის თბილისის საქალაქო სასამართლოში, სავარაუდოდ, 7 ივლისს დაკითხავენ. სწორედ ამ დრომდე გადაიდო მოწმეების გამოუცხადებლობის მოტივით საქმის განხილვა.

პროკურორების განცხადებით, საქმის მთავარმა მოწმეებმა საქართველოში ჩამოსვლა ვერ მოახერხეს. უგულავას ადვოკატებმა პროცესის გადადება პროკურატურის მხრიდან გიგი უგულავას საქმეების ხელოვნურ გაჭიანურებად შეაფასეს. (ნიუპოსტი)

## „ვანოს ვურჩევ, თანაგუნდელები მათემატიკაში მოამზადოს“



საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი სერგო რატიანი უმრავლესობის წევრს ვანო კილურაძეს მიმართავს და უმრავლესობის წევრების მათემატიკაში მომზადებას სთხოვს:

„ვანო არის ცნობილი მეცნიერი, გამოჩენილი მათემატიკოსი. ვურჩევდი, რომ საკუთარი თანაგუნდელები მათემატიკაში მოამზადოს. გარდა ამისა, აქტუალურია ტექდათვალიერების თემა და პირველ რიგში, ვისაც სჭირდება ტექდათვალიერება ეს არის პრემიერ-მინისტრის რადარები“, – განაცხადა რატიანმა. (ნიუპოსტი)

## პატიმარი, რომელსაც ვახტანგ მაისაიას ლიკვიდაცია შეუკვეთეს, საქმის გადახედვას ითხოვს




სახალხო დამცველის ანგარიშში ნათქვამია, რომ ქართულ საპატიმროში სასჯელს იხდის სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომელი, რომელიც საქართველოს ხელისუფლებისგან ითხოვს, რომ იგი დე ფაქტო ცხინვალს გადასცენ. როგორც პატიმარი ა.თ. აცხადებს, ის 2007 წლამდე ცხინვალში ცხოვრობდა, თუმცა ოკუპირებული რეგიონი დე ფაქტო ხელისუფლებასთან უთანხმოების გამო დატოვა და საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა, სადაც 2008 წლის 6 აგვისტომდე სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციაში მუშაობდა. პატიმრის განცხადებით, კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ის 2008 წლის 6 აგვისტოს დააკავეს და კონკრეტული დავალება მისცეს, რაც ცხინვალში ტერორისტული აქტების განხორციელებასა და კონკრეტული პირების ლიკვიდაციას ეხებოდა, თუმცა უარის თქმის შემდეგ ყაჩაღობისა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ბრალდებით დააკავეს.

პატიმრის თქმით, სამართალდამცველებმა მე-8 საპატიმროს ადმინისტრაციას შეატყობინეს, რომ ის ქართველების წინააღმდეგ ბრძოლისას იქნა დაკავებული, რის გამოც წამებასა და გამუდმებით ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხყოფას დაექვემდებარა.

17-წლიანი პატიმრობის მისჯის შემდეგ, როგორც პატიმარი აცხადებს, მასთან მე-17 დაწესებულებაში იგივე შეთავაზებით იმყოფებოდნენ შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნები მეგის ქარდავა და სოსო თოფურიძე, ამასთანავე, მას ვახტანგ მაისაიას ლიკვიდაციაც შეუკვეთეს. ამ დროისთვის ის საპატიმროში პირობებს არ უჩივის, თუმცა მისმა ოჯახის წევრებმა კვლავ მიიღეს ცხინვალში მუქარის შემცველი ზარები. (ნიუპოსტი)

## ნორლანდი არჩევნებს დადებითად აფასებს



ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, რიჩარდ ნორლანდი იმედოვნებს, რომ არჩევნებისას აღმოჩენილი ხარვეზები მეორე ტურის ჩატარების წინ აღმოფხვრილი იქნება.

„ამერიკის საელჩომ ჰოლანდიელ და ბრიტანელ კოლეგებთან ერთად გააკეთა ერთობლივი განცხადება, ვინაიდან ჩვენ გვქონდა საშუალება ერთობლივი ჯგუფების მეშვეობით დავკვირვებოდით მიმდინარე არჩევნებს. ჯგუფებს ჰქონდათ საშუალება, 600-ზე მეტ უბანს სტუმრებოდნენ და ეწარმოებინათ დაკვირვება. არჩევნები შევაფასეთ როგორც სანდო, კარგად ადმინისტრირებული და ისეთი, როგორიც ასახავდა ამომრჩევლის ნებას. ასევე ნიშანდობლივია ისიც, რომ არჩევნების შედეგად წარმომადგენლობის ხარისხი იქნება უფრო პლურალისტური. ველოდებით, რომ აღმოჩენილი ანომალიები თუ ხარვეზები იქნება შესწავლილი, გათვალისწინებული და აღმოფხვრილი არჩევნების მეორე ტურის ჩატარების წინ. ველოდებით, რომ მეორე ტური იქნება ისეთივე კარგი, როგორიც იყო პირველი“, – განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა. (ნიუპოსტი)



ზურაბ ჯორბენაძე

# ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე: „ერთი ფაქტი გამახსენდა ბატონ მოსამართლე ურთმელიძეზე“

„ალიას“ ადვოკატი **ზურაბ ჯორბენაძე** ესაუბრა:

**— „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები იმუქრებიან, შემოდგომაზე აქციები იწყება და შევუერთდებითო. ეგენი აქციაზე რომ მივიდნენ, ხალხი ჩაქოლავთ, ალბათ. თქვენ გაქვთ ინფორმაციები, რას გეგმავენ სინამდვილეში „ნაციონალები“?**

– დავიწყოთ იქიდან, რომ ხალხის პროტესტი გარდაუვალია, თუ ხელისუფლებამ ამ ტემპით გააგრძელა მათი იგნორი და ისევ არ აღდგა სამართლიანობა. როგორ მოხვდება ამ სიტუაციაში „ნაციონალური მოძრაობა“, გეტყვით. მათ აქვთ ძალიან დიდი არამად ნაშოვნი ფული, რომელიც თავის დროზე ხალხს მოჰპარეს ბიუჯეტიდან. მათ ჰყავთ, ძალიან რომ არ გავზეროთ ციფრები, დაახლოებით 10 000 ისეთი მომხრე, რომელსაც რომ დაუძახებენ და ფულს გადაუხდიან, გამოიყვანენ ქუჩაში. ეს ინფორმაცია ეყრდნობა ძალიან რეალურ მტკიცებულებებს. თვითონ ის პირები, ვინც ჩამოვთვალე, არც ერთი არ იდგება იმ მიტინგზე. მათ აქვთ იმდენი ჭკუა, რომ გამაღიზიანებელი სახეები არ გაიყვანონ მიტინგზე. გამოიყვანს რიგით აქტივისტებს, დააფინანსებს, ააგორებს პიარს და თვითონ ჩრდილიდან ადევნებს თვალს მოვლენების განვითარებას. არ დაგავიწყდეთ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ დღემდე ჰყავს დაქირავებული „ზონდერები“, მკვლელები, რომლებიც უკან არაფერზე დაიხევენ და შესაბამისად, არც ხალხის მოკვლას მოერიდებიან. ამ მკვლელებს „ნაციონალური მოძრაობა“ უხდიდა ძალიან დიდ ფულს და დღემდე უხდის. მე პროკურატურისთვის მიცემული ჩვენება ვახსენე ერთხელ თქვენთან ინტერვიუში, სწორედ იმ ჩვენებაში მაქვს ნათქვამი, რომ ქართული სპეცსამსახურები სავსეა „ნაციონალური ზონდერებით“ და ეს საქმე გამოსაძიებელია-მეთქი.

გეტყვით, როგორ იყო და ახლა რას უპირებენ ამ ხალხს. „ნაციონალურ მოძრაობას“ გასაიდუმლოებული ჯგუფები, რომელიც მკვლელებით იყო დაკომპლექტებული, ჰყავდა ცხვარიჭამიაში, სადაც მათ მოსამზადებლად სპეციალური ბანაკი იყო მოწყობილი. ასეთი ჯგუფები ჰყავდათ მარტყოფის ტყეში, იქაც სპეციალური ბანაკი იყო მათ მოსამზადებლად. ასეთი ჯგუფები ჰყავდათ ზუგდიდის ტყეში, 2012 წლის არჩევნების წინ. თითქმის ყველა რეგიონში ჰყავდათ ასეთი ჯგუფები მეტ-ნაკლები რაოდენობით. მაგალითად, ზუგდიდში ახალაიებს ჰყავდათ 2 000-კაციანი ჯგუფი. ის ხალხი არსად არ წასულა, მხოლოდ ხელმძღვანელები შევიდნენ ჩრდილში. ისინი შეურევენ ამ ხალხს აქციაზე მდგარ ხალხში და მოაკვლევინებენ რამდენიმე ადამიანს, რაც გახდება მასობრივი არეულობის მაპროვოცირებელი და ამას ძალიან ადვილად შეძლებენ. იმ არეულ სიტუაციაში ორი-სამი კაცის მოკვლას რა უნდა, მაგის მეტი რა იციან მაგათ.

**— ეს თქვენი ვარაუდია. ფაქტები?**

– ვინ გითხრათ, რომ ვარაუდია? მათი მოქმედებიდან და გეგმებიდან გამომდინარე, მომავალშიც ეს სცენარი იწერება. „ქართულ ოცნებას“ რომ მოენდომებინა და გამოეძიებინა, ყველა ეს ჯგუფი ახლა გამოაშკარავებული იქნებოდა, მაგრამ ეს არ გააკეთეს, რადგან არ აწყობდათ. მე არ მაქვს საუბარი ბატონ პრემიერ-მინისტრზე ირაკლი ღარიბაშვილზე, მიმაჩნია, რომ ეს კაცი წესიერად ემსახურება ქვეყანას. მე საუბარი მაქვს იმ კლანებზე, რომლებმაც ბიზნესები გადაინაწილეს, დიდი ფული გაიყვეს და სწორედ ამ ფულმა შეუშალა ხელი იმას, რომ ეს ყველაფერი ჩაიფარცხა.

**— პროკურატურაში რა ხდება? გიგი უგულავა „დარდობს“, მისი საქმის პროკურორები რომ პროცესებზე არ მიდიან.**

– შეგიძლიათ პირდაპირ ასე დაწეროთ, სამართლიანობის აღდგენა დასრულდა და ნუღარავინ დაელოდება, რომ კიდევ რაიმეს იზამს პროკურატურა. ეს ერთმანეთზე გადაბმული კრიმინალების ჯგუფი ერთმანეთს არ დაიჭერს და ხალხი როდის უნდა მიხვდეს ამას? ისეთივე კრიმინალები არიან პროკურატურაში, როგორიც უგულავაა და როგორ ფიქრობთ ახლა, ის გაუშვებს უგულავას ციხეში, როცა იცის, რომ მასაც დაუდებენ მტკიცებულებებს და მიუჯდება გვერდით ორ კვირაში?

**— თქვენ „კვირის ქრონიკასთან“ ვრცლად ისაუბრეთ იმ უსამართლო მოსამართლეებზე, რომლებმაც „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ წინააღმდეგ გამოიტანეს უკანონო გადაწყვეტილებები. რამე ახალი ინფორმაცია ხომ არ გაქვთ ჩვენი საქმეების რომელიმე მოსამართლეზე?**

– ერთი ფაქტი გამახსენდა ბატონ ურთმელიძეზე. გახსოვთ, ალბათ, რომ გითხარით ურთმელიძეზე, როცა ხელოვნურად გვიწელავდა პროცესების დროს, რადგან არ ჰქონდა წაკითხული საქმე. როდესაც მას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ვუჩივლე, იმ დროს მიმდინარეობდა სამოქალაქო საქმის განხილვა, რომელიც მე მქონდა. იმ საქმისა, რომელზეც ურთმელიძემ 9 თვე გვაწამა. პროცესის მიმდინარეობისას მეუბნება ურთმელიძე, არ გრცხვენია, იუსტიციის საბჭოში რომ მიჩივიხარ, განა შენი ძმა არ არის საბჭოს წევრიო? არ გრცხვენია, როგორ მიჩივიხარ საბჭოშიო? დანამუსებით აპირებდა მართლმსაჯულების განხორციელებას, წარმოიდგინეთ, კაცი კანონს არღვევს, მართლმსაჯულების აზრზე არ არის, ტყემალზე ზის, მაწამა და ჯვარს მაცვა 9 თვე ხელოვნურად გაჭიმული პროცესებით და კიდევ აქეთ მაგდებს სინდისზე, როგორ მიჩივლე იუსტიციის უმაღლეს საბჭოშიო, ხომ „მაგარი“ მართლმსაჯულებაა?

რაკი პროკურატურის უნიათობაზე ჩამოვარდა სიტყვა, დავინტერესდით, რა ხდება პროკურატურაში იმ ათი საქმის ძიებაზე, რომლებზეც მოწმედ მიხეილ სააკაშვილს იბარებდნენ. პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელი **რუსუდან სუხიაშვილი** ჩვენთან საუბრისას აცხადებს: „საქმეზე ძიება აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს, თუმცა მიხეილ სააკაშვილისთვის ხელახალი შეთავაზება, გამოცხადებულიყო მოწმედ პროკურატურაში, არ განხორციელებულა. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მხოლოდ ვახმაურებთ იმ ფაქტებს, რაც გამოძიებას არ დააზიანებს. ამ ეტაპზე სათქმელი სხვა არაფერი გვაქვს. გეტყვით, რომ გამოძიება ათივე საქმეზე მიმდინარეობს ინტენსიურ რეჟიმში, თუკი იქნება გასასაჯაროებელი რაიმე ინფორმაცია, ამასაც გავასაჯაროებთ“.

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სასჯელაღსრულება კომისიის წევრის თანამდებობაზე ვაკანსიას აცხადებს




საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საკოორდინაციო საბჭო არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის წევრის კანდიდატურაზე (არაანაზღაურებადი) ვაკანსიას აცხადებს.

„მუდმივმოქმედი კომისიის წევრობის უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტაცია რეგისტრაციაში გატარების მომენტისთვის ითვალისწინებდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას“, – აცხადებენ სამინისტროში.

მათივე განმარტებით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა ერთმანეთში კონსულტაციებისა და შეთანხმების შედეგად, კანდიდატურა საბჭოში ვაკანსიის გამოცხადებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა წარადგინონ.

„იმ შემთხვევაში, თუ კონსულტაციების შედეგად შეთანხმება მიღწეული ვერ იქნა, არასამთავრობო ორგანიზაციას უფლება ენიჭება, დამოუკიდებლად წარადგინოს კანდიდატურა. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის კანდიდატურის წარმოდგენასთან დაკავშირებულ წერილობით მიმართვას თან უნდა ერთვოდეს ორგანიზაციის წესდების ასლი ნოტარიალურად დამოწმებული სახით“, – განმარტავენ უწყებაში. (ინტერპრესნიუსი)

## შსს-მ თაღლითობის ბრალდებით ორი პირი დააკავა



შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის მერვე განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ნინო კ. და 1988 წელს დაბადებული ანრი ჯ. თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნინო კ. სოციალური ქსელის საშუალებით, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მამაკაცებს შეხვედრას სთავაზობდა, „აჭარაბეთის“ საკუთარ ანგარიშზე მათ სხვადასხვა ოდენობის თანხას წინასწარ არიცხვინებდა და თანამზრახველ ანრი ჯ-სთან ერთად ფულს თაღლითურად ითვისებდა. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ დაკავებულებმა 14 სხვადასხვა მოქალაქის კუთვნილი 775 ლარის ოდენობის თანხა მიითვისეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულების საცხოვრებელი ბინიდან პორტატიული კომპიუტერი ნივთმტკიცებად ამოიღეს. ორივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ინტერპრესნიუსი)

## სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო მთავრობის სუბიექტი გახდა




საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტო ხელახლა – ამჯერად მთავრობის დადგენილებით იქმნება. აღნიშნული უწყება პრეზიდენტის 2006 წლის 24 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს უფლებამონაცვლე ხდება.

მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებით, სააგენტოს საქმიანობაზე კონტროლს კვლავ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური განახორციელებს. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი კი, რომელსაც სააგენტოს ახალი დებულების დამტკიცება დაევალა, სააგენტოს ხელმძღვანელს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით დანიშნავს.

საუბარია სსიპ-ზე, რომლის მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს: სამთავრობო რეზიდენციებში საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, ასევე ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირთა უზრუნველყოფა მათი საქმიანობისათვის საჭირო, საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი პირობებით; გადაცემული ქონების მშენებლობა, აღჭურვა, ექსპლუატაცია, მოვლა-პატრონობა, კეთილმოწყობა, რეკონსტრუქცია, მიმდინარე და კაპიტალური რემონტების ჩატარება; საინვესტიციო პროგრამებისა და მშენებლობის საინვესტიციო პროექტების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით; სამთავრობო დელეგაციებისა და უმაღლესი დონის სტუმრების, მათ შორის, საზღვარგარეთიდან ჩამოსული პირების მომსახურება საჭიროების შემთხვევაში; სახელისუფლებო დაწესებულებათა წარმომადგენლების, ასევე სააგენტოს მიზნებიდან გამომდინარე, შესაბამისი კონტინგენტის მიღება და სათანადო მომსახურება; სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ან პრეზიდენტის ადმინისტრაციის დავალებით სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობასთან დაკავშირებული ობიექტების აღჭურვა, კეთილმოწყობა, მიმდინარე და კაპიტალური რემონტების ჩატარება და სერვისული მომსახურება.

წინა ხელისუფლების დროს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოზე სახელმწიფო კონტროლი ეკონომიკის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნებოდა, თუმცა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პრეზიდენტ სააკაშვილის ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება სააგენტოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის ჩაბარება იყო. (ინტერპრესნიუსი)

## ნოდარ ხადურის პაროდისტმა ცოლი მოიყვანა



„კომედი შოუში“, როგორც ჩანს, ქორწილებისა და ბედნიერების დრო დადგა. ვასო ფხაკაძის შემდეგ ცნობილი ხდება, რომ ცოლი ნოდარ ხადურის პაროდისტმა – მიშკა ცინცაძემ მოიყვანა.

მიშკას რჩეული თოჯინაა. სწორედ ამ სახელითაა იუმორისტის მეუღლე „ფეისბუკზე“ დარეგისტრირებული, მეგობრები კომენტარებშიც თოჯინათი მიმართავენ და გაბედნიერებას ულოცავენ.





უკვე რამდენიმე თვეა, რაც წყვილი ერთად ცხოვრობს. ქორწილი კი 15 ივნისს ჰქონდათ. მიშკას მეჯვარეები „კომედი შოუს“ მსახიობები გიგა ტაბიძე, ბექა ონიანი და გიორგი მარშანია არიან.

ქორწილის შემდეგ წყვილი ეგვიპტეში გაემგზავრა.

*reitingi.ge*

## გიორგი ბერიძეს რვა წლით უფროსი გოგონა შეუყვარდა



„X ფაქტორის“ დატოვების შემდეგ გიორგი ბერიძე მხოლოდ ერთი საღამოს განმავლობაში იყო ცუდ განწყობაზე. მეორე დღეს უკვე ახალ პროექტზე დაიწყო მუშაობა. „X ფაქტორში“ რომ აღარაა, არავის ადანაშაულებს. ფიქრობს, ნაწილობრივ მისი ბრალია, რომ ფინალამდე ვერ მივიდა.

გიორგი ბერიძე:

– დეპრესია საერთოდ არ მაქვს, პირიქით, უფრო შემართებით ვარ და ძალიან ბევრი გეგმა მაქვს. უახლოეს მომავალში ახალი პროექტის დაწყებას ვგეგმავ. ჩემს შემდეგ პროექტი ბევრმა ისეთმა მონაწილემ დატოვა, ვისაც ვგულშემატკივრობდი. ძალიან მომწონს და მინდოდა, პროექტი მოეგო ბათუმელ ნიკა კიკნაძეს. ახლა, რა თქმა უნდა, მაინტერესებს, ვინ გახდება გამარჯვებული, მეტ-ნაკლებად ვადევნებ თვალს, მაგრამ განსაკუთრებულად აღარავის ვგულშემატკივრობ.

რაც შეეხება პირად ცხოვრებას, მაია ჯანგულაშვილი რამდენიმე თვეა, გავიცანი და მაშინვე ძალიან მომეწონა. ჯერ არაფერს ვგეგმავთ. დღევანდელი დღით ვცხოვრობთ და მომავალზე არ ვფიქრობთ.

*reitingi.ge*

## ეკო ფანგანის „რეალობა კაზანტიპზე“ – რას ყვება მოდელი ფესტივალზე

გაიმართება თუ არა საქართველოში ელექტრონული მუსიკის ფესტივალი „კაზანტიპი“ – კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია „კაზანტიპის“ ანალოგი ფესტივალის ჩატარებაზე საუბრობს, საზოგადოებას ჯერ კიდევ არ აქვს ნათლად წარმოდგენა, რას ნიშნავს „კაზანტიპის ანალოგი“, რით ემსგავსება ან განსხვავებული იქნება ის ფესტივალისგან, რომელზეც ამდენი გვსმენია. რაც შეეხება „კაზანტიპის“ ოფიციალურ საიტს, იქ ვკითხულობთ, რომ 2014 წლის ზაფხულში ფესტივალი ტაიმ-აუტს იღებს...



ამის მიუხედავად, ფესტივალის მიმართ, რომელიც ანაკლიაში გაიმართება, მოლოდინი ძალიან მაღალია. სკეპტიკოსებთან ერთად სოციალურ ქსელებში ფესტივალის მიმართ კეთილგანწყობილთა მოსაზრებებსაც მოისმენთ. მეტიც, „ფეისბუკზე“ საინფორმაციო გვერდიც შეიქმნა სახელწოდებით „რეალობა კაზანტიპზე“, რომელზეც ფესტივალთან დაკავშირებით ცნობილი ადამიანების მოსაზრებები ქვეყნდება.

**ეკო ფანგანი:**

– რა თქმა უნდა, „კაზანტიპი“ ვიცი, მაგრამ არასდროს ვყოფილვარ, და რომ გავიგე, საქართველოში უნდა ჩატარდესო, გამიკვირდა... გამიკვირდა, თუმცა გამიხარდა. მე ვიცი, რომ ამას ცოტა უცნაურად შეხვდა ქართველი საზოგადოება, მაგრამ მათ ვეტყვი, რომ მოეშვით, რადგან ამაში საგანგაშო არაფერია. მით უმეტეს მე, რომელიც არანაირი გამაბრუებელი საშუალების მომხმარებელი არ ვარ, შემიძლია იქ ვიყო დღეები, საათები და კვირები... ვყოფილვარ კიდეც მსგავს ფესტივალებზე და არავისზე ნაკლებად არ ვერთობი. ამიტომ, ვისაც როგორ უნდა, ისე იქნება და არჩევანი თქვენზეა, – ამბობს ეკო ფანგანი მიმართვაში.

მიმართვის დასასრულს ტელეწამყვანი „კაზანტიპის“ იმ დადებით მხარეებზე საუბრობს, რომელიც ქვეყანას ეკონომიკურად წაადგება და საზოგადოებას ამ სიტყვებით ემშვიდობება: „ის, რომ საქართველოში ასეთი რაღაცები ტარდება, ხელს უწყობს ტურიზმს განვითარებას, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და ძალიან ბევრ რამეს, რაც ჩვენ დაგვეხმარება, განვავითაროთ ჩვენი ქვეყანა, ტურიზმი, ახალგაზრდობა“.

*ambebi.ge*

## „ახლახან ვიყავი სოხუმში, იქ სიცარიელე და უმოძრაობაა“



21 წლის რუსული შოუბიზნესის ქართველი მომღერალი იასენია აცხადებს, რომ ქართულ პროექტში მის მონაწილეობას აფხაზეთში ზოგი გაგებით მოეკიდა, ზოგი კი პირიქით.

– გაგრაში დავიბადე, როცა ომი დაიწყო 3 თვის ვიყავი და ჩემი ოჯახი რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად... დედაჩემი რუსია, ამიტომ აფხაზეთში ჩასვლა ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. მე იქ ყველაფერი მიყვარს. სხვათა შორის, ახლახან ვიყავი სოხუმში და, სამწუხაროდ, იქ სიცარიელე, უმოძრაობაა. ჩემი სამეგობრო წრე ძირითადად აფხაზეთიდანაა. ძალიან მაინტერესებდა, როგორ მიიღებდნენ ქართულ პროექტში ჩემს მონაწილეობას. ეს ზოგმა კარგად გაიგო, ზოგმა კი – ვერა. ახლა რომ ჩავედი აფხაზეთში, მითხრეს, პროექტს თვალ-ყურს ვადევნებთ და შენით ვამაყობთო... ოჯახში ქართულად, მეგრულად საუბრობენ. დედა რუსი კი არის, მაგრამ რუსულ ლიტერატურას ასწავლიდა ქართულ სკოლაში, ამიტომ ქართული ენა სრულყოფილად იცის. რაც შეეხება ჩემს ქართულის არცოდნას, დედ-მამას იმის დრო არ ჰქონდათ, რომ ჩემთვის ქართული ესწავლებინათ. ისინი მთელი დღეს მუშაობდნენ და იმაზე ფიქრობდნენ, თავი როგორ გაეტანათ. ქართულს აუცილებლად ვისწავლი“, – განუცხადა იასენიამ „სარკეს“.

*pia.ge*

## „მთელი ცხოვრება შემართებით რომ ვიყავი, ახლა ასე ვეღარ ვარ“



მომღერალი ეთერ კაკულია მძიმე სენს ებრძვის. მედიკოსებმა მას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს. მომღერალს ისრაელში ქიმიოთერაპიის კურსი ესაჭიროება, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.

– ამ დიაგნოზის მოსმენა ჩემთვის ძალიან რთული იყო. ასე დეტალურად საუბარი ახლაც არ შემიძლია, მიჭირს. მთელი ცხოვრება შემართებით რომ ვიყო, ახლა ასე ვეღარ ვიქნები... თუმცა გამოსავალი არსებობს და ასე მგონია, როგორც ჩაფიქრებული მაქვს, 102 წელი ვიცოცხლებ. 102 წლის ასაკში კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. მაინც იმედით ვარ, სხვანაირად არ შეიძლება, არა?.. არ შემიძლია საუბარი, მეტირება. ახალი სიმღერების ჩაწერა მინდა. უამრავი გეგმა მაქვს, ამიტომ ჩემი ავადმყოფობა სამშობლოს ღალატის ტოლფასია, – განუცხადა ეთერ კაკულიამ „სარკეს“.

*pia.ge*

## „სულიერმა ტრავმებმა კვალი დამაჩნია, ადრე სხვა სილამაზე მქონდა“





ადვოკატი და „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ერთ-ერთი მონაწილე მარიამ კუბლაშვილი საკუთარ თავს ისეთ ძლიერ ქალს არ უწოდებს, როგორიც ჩანს.

– ისეთი ძლიერიც არ ვარ, როგორიც თავი მომაქვს, მაგრამ არც სუსტი ქალი მიყურებს სარკიდან... თვითკრიტიკული ვარ. საკუთარი თავი ხშირად ძალიან არ მომწონს. მეგობრები მეუბნებიან, ამას სპეციალურად უსვამ ხაზს, რომ შეგაქონო. სულ ეს მაქვს სალაპარაკოდ, ცხვირი არ მომწონს, ტუჩები არ მომწონს-მეთქი... ჩემს ოჯახსა და მეგობრებს თუ ჰკითხავთ, ის მარიამი აღარ ვარ, ცხოვრებისეულმა ტრავმებმა თავისებური კვალი დამაჩნია. მაშინ სხვა სილამაზე მქონდა. ქუჩაში მაჩერებდნენ და მეუბნებოდნენ, ვაიმე, ლიკა ქავჟარაძეს როგორ ჰგავხარო. მაგრამ ახლაც ვამბობ, რომ კარგად გამოვიყურები, – განუცხადა მარიამ კუბლაშვილმა „სარკეს“.

*pia.ge*

## „იცით, რა ვერ გამიგია? სანამ დაქორწინდებიან, ერთად რომ არიან... გელფრენდი არა ის!..“



იუმორისტ დათო როსტომაშვილისთვის ქორწინებამდე წყვილების თანაცხოვრება მიუღებელია.

– ყოველთვის ერთ რამეს ვამბობ, გასათხოვარი და დასაქორწინებელი მტერს ჰყავდეს სახლში, ქალი უნდა გათხოვდეს, ვაჟი უნდა დაქორწინდეს... როცა ყველაფერი ზომიერების ფარგლებში ხდება და ჩარჩოებს არ სცილდება, რატომაც არა? იცით, რა ვერ გამიგია? სანამ დაქორწინდებიან, ერთად რომ არიან. სისულელეა, რომ ამბობენ, თუ გავუგებთ ერთმანეთს, მერე შევქმნით ოჯახსო. თუ არ გიყვარს, საერთოდ თავი დაანებე. თუ გიყვარს და ხედავ, რომ მასთან ცხოვრება შეგიძლია, მოიყვანე ცოლად და ერთად ბედნიერები იყავით! რას ჰქვია, ჩემი გელფრენდიო, გელფრენდი არა ის!.. – განუცხადა დათო როსტომაშვილმა „სარკეს“.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



მასწავლებელი კოტეს სახლში ესტუმრა, მის მშობლებს რომ დაელაპარაკოს. შინ მხოლოდ მამა დახვდა:

– თქვენი შვილი ძალიან უზრდელია. შენიშვნა მივეცი და მთელი კლასის გასაგონად მიპასუხა, რომ თუ ერთი ადგილის თამაშს თავს არ დავანებებ, გამაუპატიურებს.

– ახლა ყველაფერს გავარკვევ, ქალბატონო!

გადაიხედა კოტეს მამამ ფანჯრიდან და შვილს გასძახა:

– კოტე, მასწავლებელს მართლა ეუზრდელე?

– ჰო, ვეუზრდელე...

– მართლა უთხარი, გაგაუპატიურებო?

– კი, მართლა ვუთხარი...

– ამოდი, მაშინ, თავისი ფეხითაა მოსული!..



*****

მაღაზიაში:

– დიდი ბოდიში, ბატონო, მაგრამ ხურდა არ გვაქვს და აგერ, მიკი მაუსის საღეჭ რეზინს მოგართმევთ.

– თქვენ ბავშვი ხომ არ გგონივართ?! ტერმინატორის კევები მომეცით!

*****

ოლიგარქის ქალიშვილმა შეყვარებული სახლში მიიწვია, რომ მშობლებისთვის გაეცნო. მამა დაინტერესდა:

– სახლი გაქვს?

– ღმერთი თუ მომცემს, მექნება!

– მანქანა გყავს?

– ღმერთმა თუ მომცა, მეყოლება!

– ჩემი ქალიშვილის უზრუნველყოფას შეძლებ?

– ღმერთმა თუ ინება, შევძლებ...

მოგვიანებით ქალიშვილი მამის აზრით დაინტერესდა:

– რას იტყვი, მამიკო, როგორი ბიჭია?

– ნამდვილი იდიოტია, თუმცა იმან კი უსაზღვროდ მომხიბლა, როგორ მომიხსენიებდა!!!

*****

– დილაობით დარბიხარ?

– როგორ არა?! ძირითადად, სახლში, ყვირილით – მაგის დედაც, ისევ დამაგვიანდა!!!

*****

– აფთიაქში გავიარე, ფასები შევისწავლე და მივხვდი, რომ ბევრად იაფად გამოვალ, თუ მოვკვდები!

– მოდი, შენ კიდევ ერთხელ გაიარე და სარიტუალო მომსახურების ფასებიც შეისწავლე...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## ბრაზილიელმა ქალმა სამსახურში... პორნოგრაფიის ყურებისა და მასტურბირების უფლება კანონით მოიპოვა



აბა, შეფებო, წარმოიდგინეთ, ერთ-ერთი თანამშრომელი კაბინეტში რომ დაგადგებათ და კატეგორიულად მოგთხოვთ, თუ სამსახურში პორნოგრაფიას არ მაყურებინებ, შენიც და შენი ორი მეზობლისაცო, არ გადახვალთ ჭკუიდან?! ჰოდა, ასევე მოუვიდა ერთ-ერთი ბრაზილიური კომპანიის ხელმძღვანელს და ლამის ღერა-ღერა დაიპუტა თმები, მაგრამ როცა საქმე სასამართლომდე მივიდა, ყველაფერი მისი სურვილის საწინააღმდეგოდ დამთავრდა.

თურმე, პროფესიით ბუღალტერს, 36 წლის ანა კატარინა ბეზერას ჰიპერსექსუალობის დიაგნოზი ექიმებმა კარგა ხნის წინ დაუსვეს, თუმცა მის უსიამოვნებას ვერავინ ვერაფერი უშველა. მასაც სხვა გზა აღარ აქვს და ჰაერივით სჭირდება, დაგროვილ ვნებას როგორმე გასაქანი მისცეს. ამისთვის ანა კატარინა სამსახურში მასტურბირებასაც კი არ ერიდებოდა და პორნოგრაფიასაც ხშირად უყურებდა. საბოლოო ჯამში, უფროსს მობეზრდა ონანისტი თანამშრომელი და ის სამსახურიდან გაუშვა.

გადარეულა ბრაზილიელი ქალი და მაშინვე სასამართლოსთვის მიუმართავს, სადაც როგორც უკვე გითხარით, განაჩენი მის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი – ანა კატარინა ბეზერა სამსახურშიც დააბრუნეს და პორნოგრაფიის ყურებისა და მასტურბირების უფლება კანონის ძალითაც დართეს.

***mignews.com.ua***

## ბრმა ნაწლავისა და გლანდების ამოჭრას ინფარქტი მოჰყვება?



ალბათ, თავადაც ფიქრობთ და ბევრი ექიმისგანაც გექნებათ გაგონილი, რომ ბრმა ნაწლავი ადამიანს აუცილებლად უნდა ამოეჭრას და რაც უფრო ადრეულ ასაკში, მით უკეთესი. დაახლოებით ასეთივე მოსაზრება არსებობს გლანდებთან დაკავშირებითაც. რეალურად კი იცით, როგორ აღმოჩნდა? ორივე ორგანო ძალიანაც საჭიროა და აუცილებელია მათი არა ამოჭრა, არამედ კარგად მოვლა.

შვედმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ბავშვობაში ბრმა ნაწლავისა და გლანდების ამოჭრა ზრდასრულ ასაკში ინფარქტის რისკს მნიშვნელოვნად ამაღლებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევის ავტორებმა რამდენიმე ათასი ადამიანის სამედიცინო ისტორიები შეისწავლეს 1955-დან 1970 წლამდე.

შედარებისთვის კვლევაში ჩართული იყო ისეთი ადამიანების მონაცემები, რომლებსაც ამოჭრილი ჰქონდათ ორივე ორგანო და ასევე, ისეთების, რომლებსაც მსგავსი ოპერაცია ჩატარებული არ ჰქონიათ.

ჰოდა, დადგინდა, რომ პირველ შემთხვევაში ინფარქტის შემთხვევების რაოდენობა მთელი 44 პროცენტით მაღალი იყო.

– დასკვნა ერთია: ბრმა ნაწლავისა და გლანდების ამოჭრა ინფარქტის რისკს ამაღლებს, – ამბობენ შვედი მეცნიერები.

რადგან გულის პრობლემებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, აქვე ამერიკელი სპეციალისტების უახლესი კვლევის შედეგებზეც მოგახსენებთ: აღმოჩნდა, რომ ორალური კონტრაცეპტივების ინტენსიურ მოხმარებას შეუძლია ინფარქტისა და ინსულტის რისკის დაახლოებით 70 პროცენტით გაზრდა.

***myjane.ru***

## ჩინელმა მეცნიერებმა უცხოპლანეტელთა ტექნოლოგიების საიდუმლოება ამოხსნეს?



უდიდესი წინსვლის შესახებ საუბრობენ ჩინელი მეცნიერები, რომელთა მტკიცებითაც, შესაძლებელი გახდა უცხოპლანეტელთა ტექნოლოგიებთან მაქსიმალურად მიახლოებული „დედამიწური“ სისტემების შექმნა.

საუბარია იდუმალებით მოცულ სხივზე, რომელსაც თვითმხილველებს თუ დავუჯერებთ, ჰუმანოიდები თეფშებიდან იმისთვის უშვებენ ხოლმე, რომ ადამიანები, ცხოველები და სხვადასხვა საგანი მიიზიდონ და ხომალდზე აიყვან-აიტანონ.

უცხოპლანეტელთა სხივის საიდუმლო ფუდანის უნივერსიტეტის წამყვანმა მეცნიერმა იუნ ჩენმა ამოხსნა. კოლეგების დახმარებით, მან შეძლო იმის დამტკიცება, რომ სხივით მართლაც არის შესაძლებელი გარკვეული ობიექტების გადაადგილება, თუმცა ეს სხივი აუცილებლად ლაზერული უნდა იყოს.

ჯერჯერობით ჩინელი მეცნიერის ეს მიგნება მხოლოდ უმცირეს დონეზეა დამტკიცებული, რადგან მათ სპეციალური ლაზერი არ აქვთ, თუმცა ამ მიმართულებითაც ისინი ვარაუდობენ, რომ სასურველ შედეგს უახლოეს მომავალში მიაღწევენ.

– ამ ეტაპზე სხივით მხოლოდ მილიმეტრზე პატარა საგანი გადავაადგილეთ, თუმცა უფრო მძლავრი დანადგარის შექმნა თუ მოხერხდა, მანქანის დაძვრასაც შევძლებთ, – ამბობს იუნ ჩენი.

***top.rbc.ru***

## ლოთობის წინააღმდეგ მოლაპარაკე... პისუარი გაილაშქრებს




„ჩაგისკდეს მუცელი, ისევ გამოსკდი, არა?!“ – ცოლის ნაცვლად, დაახლოებით, ასეთ სიტყვებს ამერიკელები ახლა უკვე პისუარებისგანაც მოისმენენ.

ახლა, მთლად ლანძღვა შეიძლება არ მოგესმათ, მაგრამ ამერიკულ ქალაქ ნასაუს რესტორნების ტუალეტებში დამონტაჟებული ახლებური პისუარები სმის მოყვარულ მამაკაცებს დაახლოებით 15-წამიან მონოლოგს წაუკითხავენ იმ შემთხვევაში, თუკი სპეციალური სისტემის დახმარებით შარდში ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობა აღმოჩნდება.

ტექსტი, დაახლოებით, ასე ჟღერს:

„ეი, შენ, დიახ, დიახ – შენ! – მიმართავს პისუარი მამაკაცს, – უკვე დალიე რამდენიმე ჭიქა, არა?! მაშინ მისმინე: თუ ფიქრობ, რომ ზედმეტად მთვრალი ხარ, მაშინ სჯობს, ტაქსი გამოიძახო, ან მეგობარს დაურეკო და სახლში ასე წახვიდე. ეს გაცილებით იაფი დაგიჯდება, ვიდრე საჭესთან ნასვამი რომ დაგიჭირონ. დაფიქრდი – ღირს საკუთარი თავისთვის ან სხვისთვის საფრთხის შექმნა?!“

ქალაქ ნასაუს ადმინისტრაციის განმარტებით, ასეთი ნაბიჯების გადადგმით ისინი ალკოჰოლის მოყვარულებთან ერთგვარ ბრძოლას იწყებენ, რათა ისევ მათივე უსაფრთხოება უზრუნველყონ.

რამდენად გაამართლებს ასეთი პისუარების დამონტაჟება, რთული სათქმელია, რადგან ნასვამი ადამიანი ხომ უნიტაზებს კი არა, საკუთარ ახლობლებსაც კი არ უსმენს, მაგრამ დაგვეთანხმეთ, რომ ჩიტი ბრძოლვნად ნამდვილად ღირს.

***top.rbc.ru***

## წლების მატება ქალებს აჭკვიანებს, მამაკაცებს კი...



აი, ამ სამ წერტილში ისეთი ცუდი რამეები იგულისხმება, მეტი რომ არ შეიძლება.

თურმე ამერიკელ მეცნიერებს დაუდგენიათ, რომ ასაკის მატებასთან ერთად ქალის ტვინის მუშაობა გაცილებით აქტიურად გრძელდება, ვიდრე ეს ძლიერი სქესის წარმომადგენლებში შეინიშნება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქალები ჭკვიანდებიან, მამაკაცები კი ჩურჩუტდებიან.

ამ უცნაური მოვლენის მთავარი მიზეზი ჰორმონები ყოფილა.

კერძოდ, კვლევის ავტორები განმარტავენ, რომ ჰორმონი ესტროგენი ქალების ორგანიზმში გაცილებით მეტი რაოდენობითაა, ვიდრე მამაკაცებისაში. ჰორმონი კი, თურმე, ნეირონების განახლებისა და გონებრივი შესაძლებლობების სტიმულირებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ყოფილა.

სხვაობა შესამჩნევი უკვე 45-50 წლის შემდეგ ხდება, თუმცა ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, ესტროგენის ნაკლებობა მამაკაცებისთვის კატასტროფული შედეგებით არ დასრულდება.

***medkarta.com***

## ცხიმებზე უარის თქმა ნაადრევ სიბერეს ნიშნავსო



ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა უახლესმა კვლევებმა აჩვენა, რომ დიეტები, რომლებშიც ცხიმების ადგილი ძალიანაა შევიწროებული, შესაძლოა, ბევრი უსიამოვნების მომტანი გახდეს.

პირველ რიგში, ცხიმებზე უარის თქმას ნაადრევი სიბერე მოჰყვება, თუმცა კონტინენტსგაღმელები უფრო ცუდ რამეს ამბობენ და განმარტავენ, რომ არ არის გამორიცხული, შედეგი ნაადრევი სიკვდილიც კი იყოს.

საყოველთაოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ ცხიმიან საკვებზე უარის თქმა ადამიანს ჯანმრთელს ხდის, თუმცა, სინამდვილეში, საქმე მთლად ასე სულაც არ ყოფილა.

ლაბორატორიულ თაგვებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ ცხიმების ნაკლებობა უამრავი ნეგატიური შედეგით სრულდება. აქედან გამომდინარე, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ცხიმებზე უარის თქმა, შესაძლოა, თვითმკვლელობის ტოლფასიც კი იყოს.

***liveinternet.ru***

*მიხეილ სახვაძე 599 93-28-03*

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ცხოველი. იცვლის ფერს
2. მისი დედაქალაქია უფა
3. მხატვარი ... მოდილიანი
4. სიტყვა, რომელიც სიხადადების პირველი ასოებისგან არის შედგენილი
5. მაგიდის ერთგვარი სუფრა
6. მსახ. ... გულიაშვილი
7. საბათ-საღამო
8. მწერალი ... როლანი
9. ... ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო
10. ბულგარული ფულის ერთეული
11. მეფე ლომი მულტფილმიდან
12. მსახ. ... უიზერსპუნი
13. პატარა მრგვალი პური
14. ქალის გრძელი პირბადე აღმ.ქვეყ.
15. ტროპიკული ბუზი
16. ფეხბურთელი ზინედინ ...
17. მსახ. ... ბეგალიშვილი
18. მსახიობი ... კრუსი
19. დრამატურგი ... დე ვეგა
20. ველური ყაყაჩო
21. მსახიობი ... ბერიმორი
22. მწვერვალი კავკასიონზე
23. ვაზის მოლუსკი
24. მაომუნის სახეობა
25. ბრჭყალი, ანუ ...
26. სამაგიდო თამაში
27. პალმის კაკალი
28. ნივთიერება თამბაქოში
29. დუმბაძე. „თეთრი ...“
30. შინაური ფრინველი
31. ჩილეს დედაქალაქი
32. მსახიობი ჟან ...
33. თევზის ჯიში
34. როდინი
35. სიუჟეტიანი კედლის ხალიჩა
36. დიდი ჩაქუჩი
37. მედეა ჩახავა ფილმში
38. უკანონოდ მონადირე
39. ჩვილი, ანუ ...
40. ალკოჰოლური სითხე
41. მხ/ფ „... ტიფანისთან“
42. მულტიპლიკაცია
43. გოგონათა ქართ. ანსამბლი
44. განაყოფიერებული კვერცხუჯრედი
45. კურორტი ბულგარეთში
46. მსახ. ჟან-კლოდ ... დამი
47. მსახიობი ... დიტრიხი
48. სახის ნაწილი
49. სანჰიგიენური საშუალება
50. წიწვოვანი ბუჩქი
51. ოდრი ტოტუ ფილმში
52. დაბა ადიგენის რაიონში
53. აქლემის ნაშიერი
54. ბოსტნეული
55. ხემიანი საკრავი
56. იაზონის გემი
57. თვითმფრინავის ფანჯარა
58. მწერალი სომერსეტ ...
59. შემინული აივანი
60. მოჭადრაკე ... კრამლინგი
61. ფოსფორის ცივი ნათება
62. მოგზაური ნიკოლოზ ...
63. მხატვარი ... ახვლედიანი
64. იაპონელი მწერალი ... აბე
65. მკერდის კორექციის მასალა
66. კურტ კობეინის ანსამბლი
67. მისი დედაქალაქია რომი
68. მუსიკოსი ... გილელსი
69. მსახიობი ... გარსია
70. სიგრძის ძვ.ქართ. ერთეული
71. ცხენის კუდის ბალანი
72. იუპიტერის თანამგზავრი
73. რეჟისორი ალფონსო ...
74. მსახიობი ჯესიკა ...
75. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
76. „20000 ... წყალქვეშ“
77. პირის ღრუს გაგრძელება
78. სიმებიანი საესტრად. ინსტრუმენტი
79. ეთიოპიის დედაქალაქი
80. რეჟისორი ეტორე ...
81. თევზის ძვალი
82. „... მონტე-კრისტო“
83. ნიშნავს ახალს
84. რეჟისორი ... ფონ ტრიერი
85. აივენჰოს სატრფო
86. ბოსტნეული
87. „ბეჭდების მბრძანებ.“ ჰობიტი
88. რბილი ლითონი
89. დაწმენდილი შაქარი
90. იტალიური ავტომობილი
91. ... სამანიშვილი
92. გოია. „შიშველი ...“
93. მსახიობი ... ოსეინი
94. აკაკი წერეთლის ნაწარმოები
95. ხის ჯიში
96. ...-კლარჯეთი
97. ბავშვის საჭმელი
98. ნახ. კუნძული ევროპაში
99. მსახიობი ... დელონი
100. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო
101. კბილის დამცავი შრე
102. სააგიტაციო ნახატი
103. სოფელი მარნეულის რაიონში
104. მეეტლის ადგილი ეტლზე
105. ... პოპესკუ გოპო
106. ცხენებშებმული ტრანსპორტი
107. იაპონური ჭადრაკი
108. ფურცელი წელიწადის დღეებით
109. ფრინველის სამყვედევი
110. კონტინენტი
111. მსახ. ბილი ... ტორნტონი
112. დიდი სარეკლამო დაფა
113. მდინარე ჩინეთში
114. ქალაქი სამეგრელოში
115. კარგი ამინდი
116. ბიზეს ოპერა
117. მშობიარობის დამხმარე
118. ლუდის მასალა
119. ეპოქა
120. მექსიკელის ფერმა
121. ის, ვინც სისხლს გასცემს
122. გერმანული ავტომობილი
123. ლატვიის დედაქალაქი
124. „დათა თუთაშხია“ ნიკანდრო ...
125. ვაჟიშვილი
126. ფუტკრების სახლი
127. მეტყველების ორგანო
128. თვითმფრინავების სადგომი
129. თბილისის უბანი
130. პარკოსანი მცენარე
131. შტატი აშშ-ში
132. ... ია
133. მოკრივე კასიუს ...
134. ყურძნის ჯიში
135. მიანმის ყოფილი დედაქალ.
136. მსახიობი ბრიუს ...
137. ბილიარდის ჯოხი
138. ნადუღის სანელებელი
139. მომღერალი ... სოხაძე
140. ზამბახი
141. მსახიობი ... ასანტე

პასუხები: 1. ქამელეონი; 2. ბაშკირეთი; 3. ამედეო; 4. აბრევიატურა; 5. მუშამბა; 6. პაატა; 7. კვირაძალი; 8. რომენ; 8. ძმა; 10. ლევი; 11. სიმბა; 12. რიზ; 13. კვერი; 14. ფარანჯა; 15. ცეცე; 16. ზიდანი; 17. ბადრი; 18. პენელოპა; 19. ლოპე; 20. იორდასალამი; 21. დრიუ; 22. იალბუზი; 23. ლოკოკინა; 24. კაპუცინი; 25. კლანჭი; 26. ჭადრაკი; 27. ქოქოსი; 28. ნიკოტინი; 29. ბაირაღები; 30. ინდაური; 31. სანტიაგო; 32. რენო; 33. ქარიყლაპია; 34. ქვასანაყი; 35. გობელენი; 36. ურო; 37. ნინო; 38. ბრაკონიერი; 19. ალუა; 40. სპირტი; 41. საუზმე; 42. ანიმაცია; 43. „მზიური“; 44. ზიგოტა; 45. ვარნა; 46. ვან; 47. მარლენ; 48. ყბა; 49. საპონი; 50. ღვია; 51. „ამელი“; 52. აბასთუმანი; 53. კოზაკი; 54. კომბოსტო; 55. ვიოლინო; 56. „არგო“; 57. ილუმინატორი; 58. მოემი; 59. შუშაბანდი; 60. პია; 61. ლუმინესცენცია; 62. მიკლუხო-მაკლაი; 63. ელენე; 64. კობო; 65. სილიკონი; 66. „ნირვანა“; 67. იტალია; 68. ემილ; 69. ენდი; 70. ადლი; 71. ძუა; 72. იო; 73. არაუ; 74. ალბა; 75. ყირიმი; 76. ლიე; 77. ხახა; 78. გიტარა; 79. ადის-აბება; 80. სკოლა; 81. ფხა; 82. გრაფი; 83. ნეო; 84. ლარს; 85. როენა; 86. კარტოფილი; 87. ფროდო; 88. კალა; 89. რაფინადი; 90. „ფერარი“; 91. ბეკინა; 92. მახა; 93. რობერ; 94. „ბაში-აჩუკი“; 95. ტირიფი; 96. ტაო; 97. ფაფა; 98. იუტლანდია; 99. ალენ; 100. „ოსკარი“; 101. ემალი; 102. პლაკატი; 103. ალგეთი; 104. კოფო; 105. იონ; 106. ეტლი; 107. გო; 108. კალენდარი; 109. გალია; 110. აფრიკა; 111. ბობ; 112. ბანერი; 113. იანძი; 114. აბაშა; 115. დარი; 116. კარმენ; 117. მეანი; 118. ალაო; 119. ერა; 120. რანჩო; 121. დონორი; 122. აუდი; 123. რიგა; 124. ქილია; 125. ძე; 126. სკა; 127. ენა; 128. ანგარი; 129. ელია; 130. მუხუდო; 131. კალიფორნია; 132. აი; 133. კლეი; 134. პინო; 135. რანგუნი; 136. ლი; 137. კიი; 138. პიტნა; 139. ირმა; 140. ირისი; 141. არმან. იკითხება: ლუი დე ფიუნესი.

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ოხრახუში და ნიახური კიბოს წინააღმდეგ



გიყვართ მწვანილეული? გადასარევი არჩევანია, რადგან ამით თავს ისეთი დიდი უსიამოვნებისგან დაიცავთ, როგორიც ონკოლოგიური დაავადებებია.

ამერიკელი მეცნიერების მტკიცებით, ისეთ მწვანე კულტურებს, როგორებიცაა ოხრახუში და ნიახური, ონკოლოგიური დაავადებების ბლოკირება შეუძლიათ.

უნდა ითქვას, რომ მსგავსი დადებითი თვისებები სხვა მწვანილეულშიც მოიპოვება, თუმცა განსაკუთრებით გამორჩეული მაინც ნიახური და ოხრახუშია.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ კიბოს ბლოკირებას მწვანილებში შემავალი უნიკალური ელემენტი აპიგენინი ახერხებს, ნივთიერება, რომელიც სიმსივნეს განვითარებაში იმით უშლის ხელს, რომ მის უჯრედებში კაპილარების გაჩენას ბლოკავს.



ასეთი მიგნების გათვალისწინებით, ამერიკელი სპეციალისტები გვირჩევენ, რომ მწვანილეული, განსაკუთრებით კი ოხრახუში და ნიახური რაც შეიძლება, ხშირად მივირთვათ.

*yourlifestyle.ru*

## იაპონელების რობოტი ადამიანს ჭამაში დაეხმარება



განსაკუთრებით ამ სიახლით ის ხეიბარი ადამიანები გაიხარებენ, რომლებიც დამოუკიდებლად ჭამას ვერ ახერხებენ.

როგორც ირკვევა, რობოტი ხმოვანი ბრძანებებით იმართება და შეუძლია, ადამიანის პირთან კოვზზე დადებული ის საკვები მიიტანოს, რომელზეც მითითებას მიიღებს.

საინტერესოა, რომ ამ მართლაც უნიკალური რობოტის შექმნა იაპონელმა სტუდენტებმა შეძლეს და არა გამოცდილმა გამომგონებლებმა. ამის მიუხედავად, რობოტს წუნი, ფაქტობრივად, არ აღმოაჩნდა და ის სერიულ წარმოებაში გაშვებისთვისაც მზად არის.

ცნობილია ისიც, რომ რობოტში სპეციალური კომპიუტერული პროგრამაა ჩატვირთული, რომელიც რკინის დამხმარეს ადამიანის ბრძანებებისა და საკვების გარჩევაში ეხმარება.

აპირებენ თუ არა იაპონელები რობოტის სერიულ წარმოებას, სამწუხაროდ, არ ზუსტდება.

*membrana.ru*

## გამოგონილია ტესტი სიცოცხლის ხანგრძლივობის დადგენისთვის



რაღა უჭირს ამიერიდან ხალხს – ნებისმიერი მსურველი შეძლებს უმოკლეს დროში და უმარტივესი გზით საკუთარი სიცოცხლის ხანგრძლივობა დაადგინოს.

როგორც ირკვევა, უკვე მიმდინარე წლის ბოლომდე დაიწყება ტესტის გაყიდვები, რომელიც საშუალებას იძლევა, ადამიანმა დარჩენილი წლების რაოდენობა გაიგოს. პირველად ამ გამოგონებით ბრიტანელები ისარგებლებენ.

საუბარია დაახლოებით ისეთ ტესტზე, რომელსაც მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ფეხმძიმობის დადგენისთვის იყენებენ. ამ შემთხვევაში, სასურველ კითხვაზე პასუხის მიღება ტელომერების, დეენემის ნაწილაკების სიგრძის გაზომვით მოხდება.

სპეციალისტების განმარტებით, მოკლე ტელომერები არცთუ საიმედოა და არცთუ საიმედო შედეგის მომცემია, ხოლო გრძელი ტელომერები პირიქით, ადამიანს დიდხანს სიცოცხლეს უქადის.

ერთი კია, ტესტის ფასი არცთუ დაბალია და 435 ფუნტი სტერლინგი ღირს.

*myjulia.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**19 ივნისი:** ძალიან კარგ ხასიათზე გაიღვიძებთ და დღეს ასეთივე განწყობით დაასრულებთ. როგორც ჩანს, თითქმის ყველაფერში გაგიმართლებთ.

**კურო 22.04-21.05**
**19 ივნისი:** შეიძლება, იმ საქმის კეთება მოგიწიოთ, რასაც ვერ იტანთ. თქვენივე ბრალი იქნება, არ უნდა დათანხმებულიყავით.

**ტყუპები 22.05-21.06**
**19 ივნისი:** შეჩერდით და ცოტა შეისვენეთ. იმდენად ხართ რაღაც საქმით გატაცებული, ყველაფერი გადაგავიწყდათ. იქნებ შესვენებამ საღი აზრი დაგიბრუნოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**19 ივნისი:** შეიძლება ისეთ საკითხში მოიპოვოთ დიდი სპეციალისტის რეპუტაცია, რაშიც კარგად ვერ ერკვევით. შეეცადეთ, რჩევების მიცემისგან თავი შეიკავოთ, შარში არ გაეხვიოთ.

**ლომი 23.07-22.08**
**19 ივნისი:** რეალობის შეგრძნება არ დაკარგოთ. შეიძლება ისეთ ვალდებულებაზე დაგიყოლიონ, ცივ გონებაზე დიდ უაზრობად რომ მოგეჩვენებათ. ნუ იქნებით დამყოლი.

**ქალწული 23.08-22.09**
**19 ივნისი:** დღეს ვინმესთან ერთად რაიმეს კეთება ძალიან გაგიჭირდებათ. შეიძლება საკუთარ თავსაც კი წაეჩხუბოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**19 ივნისი:** თუ დღეს რამე მნიშვნელოვანს გააკეთებთ და ამას ყურადღებას არავინ მიაქცევთ, თქვენი ნამოქმედარის გაპიარებას ნურც შეეცდებით. იქნებ ასე სჯობდეს კიდეც.

**მორიელი 23.10-21.11**
**19 ივნისი:** შესაძლოა, უყურადღებობის გამო დაუშვათ შეცდომა, რომელიც მოვლენათა შემდგომ განვითარებაზე ძალიან უარყოფითად აისახება. ყურადღებით იყავით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**19 ივნისი:** დღეს იმ მოხეტიალე რაინდივით იქნებით, რომელიც მღელვარებას იწვევს ყველგან, სადაც კი გამოჩნდება. საკმაოდ ენერგიული იქნებით და მოქმედებას ნუ დაიზარებთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**19 ივნისი:** შეგიძლიათ, დინებას სინდისის ქენჯნის გარეშე მიჰყვეთ. დიდი ალბათობით, დინება სწორედ იქ მიგიყვანთ, სადაც თქვენ გსურთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**19 ივნისი:** თქვენი აზრი აბსოლუტური გულწრფელობით გამოხატეთ, დღეს ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ცუდი არ იქნება, თუ გაიგებენ, ვისზე რას ფიქრობთ.

**თევზები 19.02-20.03**
**19 ივნისი:** ახლობლები თქვენი ქმედებების მიმართ ძალიან ლოიალურნი იქნებიან, სიტყვების მიმართ კი – ყურადღებიანი. გამოიყენეთ ეს მომენტი.

გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**

**ანაზღაურება 640 ლარიდან**

**გამოცდილ ჟურნალისტს საინფორმაციო სააგენტოებზე მუშაობის პრაქტიკით – საინფორმაციო სამსახურის რედაქტორად.**

**ანაზღაურება 800 ლარი**

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

## ინდუსი სასულიერო პირისთვის კბენის შემდეგ შხამიანი კობრა... მოკვდა



– სიკვდილს შივამ გადამარჩინა, – ამტკიცებს ინდუსი სასულიერო პირი ბისვანატ კანვარა, რომელსაც თურმე ძალიან საშიშმა და შხამიანმა კობრამ რამდენიმე ადგილზე უკბინა და მსხვერპლის ნაცვლად, სიცოცხლეს თავად გამოესალმა.

როგორც ირკვევა, ინდუსი მღვდელი მეტრანახევრიანმა სამეფო კობრამ მაშინ დაკბინა, როცა მას რძეს უსხამდა.

თურმე, ბისვანატ კანვარა უეცრად გადარეულ კობრას რამდენიმე თვის განმავლობაში, ფაქტობრივად, ყოველდღიურად კვებავდა, აგრესია კი მხოლოდ ერთხელ გამოავლინა, რაც ისევ მისთვის გახდა საბედისწერო.

შეგახსენებთ, რომ სამეფო კობრა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი გველია და მისი კბენისგან ადამიანი, როგორც წესი, ძალიან მალე იღუპება, ერთ ნაკბენს კი სპილოს დაახლოებით 4 საათში მოკვლა შეუძლია.

*top.rbc.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ბანკში შესულ ჩამოძონძილ მამაკაცს მომხიბვლელი გოგონა შეეგება:

– რით შეგვიძლია თქვენი დახმარება?

– შეიძლება თქვენს დედაარლნიან ბანკში ანაბარი გავხსნა?

– ასე საუბარი როგორ შეიძლება, თქვენ ხომ ბანკში ხართ?!

– ჰოდა, მინდა, ამ დედაარლნიან ბანკში გავხსნა ანაბარი!

– ახლავე მმართველს დავუძახებ!

– მმართველი რა ჩემს ფეხებად მინდა, გითხარით, თქვენს დედაარლნიან ბანკში ანაბრის გახსნა მინდა-მეთქი!

გოგონა გაიქცა და რამდენიმე წამში მმართველიც გამოჩნდა:

– რაშია საქმე?!

– რაშია და 5 მილიონი მოვიგე რაღაც დედააფეთქებულ ლატარიაში და მინდა, ეს ფულის გროვა თქვენს დედა არლნიანბანკში შემოვიტანო!

– და რაო, ეს წაკლა არ დაგეხმარათ, არა, ამის დედა კი...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური

☎ 2-333-170

577-444-442

მიხეილ სახვაძე 221 21 80 (შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ( )-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.30